# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №13 (4588) ● 30 ოქტომბერი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი


სტატუსამაღლებული პედაგოგები:
მადლობა განათლების სამინისტროს ხელფასების გაზრდისთვის!

*49-ე საჯარო სკოლა – ევროსტანდარტების გზაზე!*

## მაღალი შედეგებისათვის ენთუზიაზმით შემართულნი





**ბარნოვის** ათ ნომერში მოგხიბლავთ „ცოდნის ტაძარი – ტურფად ნაგები“.

აქ შრომისმოყვარე, ინიციატივიანი, სიახლის ჟინით დამუხტული მასწავლებლები მოღვაწეობენ. მათ გათავისებული აქვთ ყველა ის ინიციატივა და პრიორიტეტი, რაც განათლების სამინისტრომ დაგვისახა და მათ ფრთაშესასხმელად აქტიური სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს, როგორც ევროსტანდარტების გზაზე მყარად დგანან.

შემოქმედი, გამოცდილი, გუნდური პრინციპით მოღვაწე დირექტორი **ეკატერინე ცაავა** უდგას ამ სკოლას სათავეში. მისი სახელი დიდი ხანია გაისმის პედაგოგიურ სივრცეში. ამასთან ერთად **ეკატერინე ცაავა** ამ დარგში მეცნიერებათა დოქტორიც გახლავთ, რაც სიკეთეს დამატებული სიკეთეა. ამას იმიტომ ვამბობთ ხაზგასმით, რომ დღეს ასეთი გამობრძმედილი დირექტორები ჰაერივით სჭირდება განათლების სისტემას.

ასევე სასიხარულოა შედეგი: დირექტორს ერთგულად უდგანან ღვაწლმოსილი მოადგილე **ლელა ცაგურიშვილი,** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნატო ნებიერიძე,** ადმინისტრაციის წევრები და პროფესიონალ პედაგოგებთან ერთად დიდი, საქვეყნო საქმე კეთდება.

ისტორიკოსებს უყვართ მეტაფორული გამოთქმა: ყველა გზა რომისკენ მიდისო. ასეა აქაც: ყველა საქმიანობა: სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა აქტივობები და ჩართულობები, შემოქმედებითი ღონისძიებები, კონკურსები თუ სხვა – მაღალი შედეგებისკენ არის ორიენტირებული.

ყოველთვის ვრცლად ვერ შევეხებით, მაგრამ ზოგი რამის თქმა უთუოდ საჭიროა. ყველამ ვიცით: საგნობრივი კათედრების მოქნილი საქმიანობა პირდაპირპროპორციულია ხარისხიანი სწავლებისა. ამ მხრივ სკოლაში ვითარება მეტად პოზიტიურია. კათედრებს გამოცდილი პედაგოგები ხელმძღვანელობენ: დაწყებითი საფეხურის კათედრას – **ია ჯიქია**, სახელმწიფო (ქართული) ენისას – **მზია ჩხაიძე**, მათემატიკისა და ი. ს. ტ.-ისას – **მარიცა ნატრიაშვილი**, უცხო ენებისას – **თამარ ნაცვლიშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისას – **ნათია ცინცაძე**, საზმეცნიერებებისას – **ვიქტორია ვიტტმანნი**, ხელოვნებისას და სპორტისას – **ანა ბედიშვილი**.

წარმატებას ვულოცავთ იმ მასწავლებლებს, რომელთა თავდადებული ღვაწლი სტატუსის ამაღლებით დაფასდა და საზოგადოებას უნდა გავაცნოთ ისინი, რაც საჭიროა მათი ავტორიტეტისათვის. წამყვანი მასწავლებლები გახდნენ: **მარიცა ნატრიაშვილი, ვიქტორია ვიტტმანნი, მარინე კიკნაძე, რიმა გელოვანი,** ხოლო **ქეთევან ტყებუჩავა** უფროსი მასწავლებელია.

წელს ერთი პირველი კლასი გაიხსნა და რაოდენ სასიხარულოა, რომ ნორჩები **იაკობის** იმ **„დედა ენით“** სწავლობენ, რომელსაც **გიორგი ლეონიძემ „ჩვენს აკვანს შემომჯდარი ფრინველი“** უწოდა.

პედკოლექტივის კარგ მუშაობაზე, რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი, ცხადად მეტყველებს ის, რომ გასული სასწავლო წელი ხარისხიანად სწავლების კუთხით ნაყოფიერი იყო: ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ **ქეთევან ქურდოვანიძე** და **ლონგინოს შამანაური.**

ამ საერთო წარმატებებში დიდია სკოლის ბიბლიოთეკარის **ზეინაბ ოტიაშვილის** წვლილი, რომელმაც კომპიუტერს მიჯაჭვულ მოსწავლე-ახალგაზრდობას წიგნის კითხვის სიყვარული და უნარ-ჩვევები გაუღვივა.

სასკოლო შემოდგომაც (ივნისი) არ არის ძალიან შორს, მალე დადგება. 49-ე საჯარო სკოლავ, უფრო ხვავ-ბარაქიანი ყოფილიყოს შენი „შემოდგომა“!

**ბორის ხარებავა**



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

## ხიბლი გაცილებისა, ღვაწლის დაფასებისა



**ცოდვა-მადლის** მწონავი სასწორი („ბიბლია“) გვასწავლისა: ამაგის დაუნახაობა დიდი ცოდვაა, დანახვა კი – სიკეთე. განათლების სისტემაში დიდებული ტრადიცია იყო დამკვიდრებული.

ღვაწლმოსილ, დამსახურებულ მასწავლებლებს (და არა მარტო მასწავლებლებს) იუბილეს ვუწყობდით, ზეიმით ვაცილებდით, ვასაჩუქრებდით... ამ საუკუნის დასაწყისიდანვე ყოველივე გაფერმკრთალდა და მიინავლა. კანტი-კუნტად თუ გაახსენდებოდა ვინმეს ავტორიტეტმოსილი პედაგოგი, რომელმაც, როგორც სუხომლინსკი იტყოდა, გული მიუძღვნა ბავშვებს.

და დღეს რაოდენ დიდია მადლიერება საზოგადოებისა მთავრობისა და განათლების სამინისტროს მიმართ, რომელმაც აღორძინა ეს ჰაერივით საჭირო, უსამართლოდ მივიწყებული ტრადიცია.

სექტემბრის ერთ მზისხივოსან დღეს სიყვარული, სიხარული, დამშვიდობების სევდაშეპარული განცდა ერთად შენივთდა თბილისის **140-ე საჯარო სკოლაში,** ბევრს „თვალზე ადგა განშორების მსუბუქი ცრემლი“.

აი, ჩვენი ამაგდარი, ვალმოხდილი პედაგოგები: **ცია ბოცვაძე** – პოეტი, ქართულის მასწავლებელი, **თინათინ ყურაშიძე-ოქრუაშვილი** – რუსულის პედაგოგი, **ნუნუ სირაძე** – დაწყებითი კლასების მასწავლებელი, **ლალი რუხაძე** – ბიოლოგიის, **ლედა ჩიტაძე** – ფიზკულტურის.

თავად მის მიერ რეჟისორის ნიჭიერებით შედგენილ ლიტერატურულ-მუსიკალურ მონტაჟს ოსტატურად უძღვება ამაგდარი პედაგოგი ქართულისა **მზია ბურდული.** ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირიო. გაცილების საღამო მიმდინარეობს მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით. მას უძღვება მუსიკის ნიჭიერი მასწავლებელი **მაია კაჭარავა.** იფრქვევა ტკბილმშობლიური მელოდიები. არის მილოცვები, მისალმებები მოსწავლეებისა თაიგულებით, ცია ბოცვაძის ლექსებით. ისმის მშობლების გულთბილი სიტყვები მადლიერებისა. საღამოს მეტი ხიბლი შემატა სკოლის ანსამბლმა **„თილისმამ“**.

ვიმეორებთ, ძალიან ძნელია სკოლის, ბავშვების, კოლეგების და იმ გარემოს დატოვება, სადაც მთელი შენი შეგნებული ცხოვრება გაგიტარებია, საქმე სიყვარულით გიკეთებია. ზემონახსენები პედაგოგები მხოლოდ გაკვეთილების ჩამტარებელი პროფესიონალები კი არა, ცოდნის, ადამიანის და სამშობლოს სიყვარულით **„მზრდელნი იყვნენ ყრმათა“**.

დაუვიწყარი იქნება ეს დღე ყველა დამსწრესათვის.



ასეთი გულითადი სითბო ჩვენს ამაგდარ პედაგოგებს მხნეობას შემატებს და სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს. გისურვებთ, კოლეგებო, ჯანმრთელობას, გრიგოლ ხანძთელის ასაკობრივი თამასა იოლად გადაგელახოთ!

**ბორის მიშველაძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ჩვენი სტუმარია 195-ე საჯარო სკოლა

# მიზანსწრაფულობა, სიახლეთა ფრთაშესხმა მათი საქმიანობის წესია





**მუდამ** გაუხუნარი იქნება და არასოდეს დაკარგავს აქტუალობას ერთი ბრძენკაცის ფორმულა: **კადრები წყვეტენ ყველაფერსო** რომ თქვა. დიახაც, ამ სკოლაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, ძლიერი მასწავლებლები მოღვაწეობენ. თავად დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **კობა წენგუაშვილი** გამოცდილი, შემოქმედი პედაგოგი გახლავთ. მოადგილე **მზია წეროძე** მეტად დახელოვნებული მუშაკია განათლებისა. იგივე ითქმის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **თეონა კობახიძეზე**. სხვებზე კი უფრო ქვემოთ ვისაუბრებთ.

წელს განათლების სისტემაში ახალი მინისტრის ინიციატივით ბევრი სიახლე ინერგება. მათ შორის უთუოდ გასახარია ის, რომ აღორძინებას იწყებს უსამართლოდ მიჩქმალული პედაგოგის მატერიალურ-მორალური სტიმულირების ფორმები. კერძოდ, სტატუსამაღლებულ მასწავლებლებს საგრძნობლად მოემატათ ხელფასი.

ისტორიკოსებს უყვართ გამოთქმა: **ყველა გზა რომისკენ მიდისო**. ამ სკოლაში კი ყველა გზა მაღალი შედეგებისკენ მიდის. აქ კეისრის ფრთიანი ნათქვამიც უყვართ: **„მიველ, ვნახე, გავიმარჯვე!“** ამ ქვეტექსტით ვიწყებთ საუბარს გაკეთებულ და გასაკეთებელ საქმეებზე.

ზოგად მსჯელობას ყოველთვის სჯობს კონკრეტიკა და თვალსაჩინოება.

***

**ინფრასტრუქტურის** მხრივ სკოლაში სასიამოვნო სიახლეებია. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს თაოსნობით სკოლის ეზოში დაიგო 1500 კვ.მ მაღალ ხარისხიანი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, დამონტაჟდა ტრიბუნები, ღამის განათებები. განხორციელდა სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გარემონტდა ყველა საკლასო ოთახი და დერეფანი, გაყვანილ იქნა ელექტრო გაყვანილობის ახალი ხაზები. სკოლა აღიჭურვა WI-Fi-ით და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით. ყოველივე ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით ამ სააგენტოს დირექტორს ბატონ **ზვიად როსტომაშვილს** და მის თანაშემწეებს.

პედკოლექტივს შეემატა გერმანული ენის ორი პედაგოგი: წამყვანი მასწავლებელი **ლალი ეძგვერაძე-ბიბინიძე** და უფროსი მასწავლებელი **ნინო მესხია,** ასევე - სპორტის მასწავლებლობის მაძიებელი **მიხეილ მაისურაძე.**

უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ და გაზრდილ ხელფასს მიიღებენ**: ნინო მიქელაძე, ხათუნა ვაშალომიძე,** (საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა- ხელმძღვანელი **ნანა თვალიაშვილი,) ანა ხელაშვილი.** უცხო ენების კათედრა- **ლია ჩახავა**) წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა **ანა ფრუიძეს** (ესთეტიკის კათედრა - **ლელე გიგაური**).

წელს გაიხსნა ორი პირველი კლასი. მათ დაურიგდათ **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.**

გასული სასწავლო წელი ვერცხლის მედალზე დაამთავრა ერთმა მოსწავლემ, ოქროს მედალზე კი - თერთმეტმა.

სკოლას გააჩნია მდიდარი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკარი **ლიანა კობახიძე**), რითაც აქტიურად სარგებლობენ მოსწავლეები და პედაგოგები.

მანდატურები: **თამარ სანიკიძე, ნათია ბაქრაძე** და **ნინო ბერიშვილი,** უზრუნველყოფენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყველაზე მთავარს: სწავლებასთან ერთად ეს არის სასწავლო და შემოქმედებით ღონისძიებებში ახალგაზრდობის მასობრივი ჩართულობა და აქტივობები. ვინ ჩამოთვლის კონკურსებში, ოლიმპიადებში მიღწეულ შედეგებს, მაგრამ სპორტი უთუოდ უნდა ვახსენოთ ორიოდე სიტყვით.



არცერთ სკოლას არა აქვს თბილისში ამხელა ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედანი. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სპორტულ ღონისძიებებში. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის გუნდები არაერთხელ გახდნენ ფეხბურთში **„კოკა-კოლა“**-ს და **„სკოლბურთის“**, ასევე ფრენბურთის ტურნირების გამარჯვებულნი და პრიზიორები. ე. ი. მომავალი დიდი ფეხბურთელებისა და ფრენბურთელების მოლოდინში ვართ.

წელს მთავრობამ და განათლების სამინისტრომ ხომ ბევრი სტატუსამაღლებული პედაგოგის გული გაახარა.

მისასალმებელია სახელმწიფოს მხრიდან საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი პედაგოგებისთვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესი. ამით ათასობით ღვაწლმოსილი პედაგოგის შრომა ღირსეულად იქნა დაფასებული. ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, მისაღებია სამინისტროს ახალი რეგულაციები მასწავლებლის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ იცვლება მასწავლებლის **პროფესიული სტანდარტი** და ის მხოლოდ სამი სტატუსის **- უფროს, წამყვან და მენტორ** - მასწავლებელს განიხილავს. წლების მანძილზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში პრაქტიკოს მასწავლებელს საშუალება ჰქონდა, კომპეტენციების დასადასტურებელი გამოცდებისა და სავალდებულო, დამატებითი აქტივობების განხორციელებით გაეუმჯობესებინა სტატუსი, თუმაცა, სისტემას დღემდე შემორჩა პრაქტიკოსი მასწავლებლების გარკვეული რაოდენობა, რომელიც ვერ ან არ (საკუთარი ბრალეულობით) დაწინაურდა სქემაში. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ, გამონაკლისის სახით, წელს, ნოემბერში კვლავ დაუშვა სასერთიფიკაციო გამოცდები და ისევ მისცა მათ შანსი გაიუმჯობესონ შედეგები. რეალური დრო კრედიტების დასაგროვებლად პრაქტიკოსებს ორი თვე აქვთ. ალბათ, ეს დრო საკმარისია იმისთვის, რომ სხვადასხვა აქტივობებიდან აირჩიონ ისეთი, რომლის განხორციელებასაც მოასწრებენ.

ასევე მისასალმებელია, რომ განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ახალი სპეციალური პროგრამა - **„მასწავლებლის ეროვნული სკოლა“** წარადგინა. იგი მასწავლებლობის მაძიებელთა და მოქმედი პრაქტიკოსი პედაგოგების უფასო ტრენინგებით დახმარებასა და უფრო მეტ ხელშეწყობას გულისხმობს.

რა თქმა უნდა, ამ სტატიაში ყველა საკითხს ვერ შევეხეთ. ეს უფრო მომავლის საქმეა. თუმცა, რაც ითქვა ისიც ნათელ სურათს გვაძლევს იმისას, თუ რა დიდ საქმეს არიან შეჭიდებულნი 195-ე სკოლელები, როგორ აპირებენ, მიუახლოვდნენ ევროპულ სტანდარტებს, როგორ არიან ორიენტირებულნი მაღალ შედეგებზე.

გისურვებთ, კოლეგებო, მიმდინარე სასწავლო წელს მიგეღწიოთ იმ მიზნებისთვის, რომელიც თქვენთვის ოცნებაზე მეტია.

**ბორის მიშველაძე,**
პედაგოგიკის დოქტორი

**რედაქტორის მინაწერი:** ნათქვამია, მადლი ქენი და მარილი მოაყარეო, ე. ი. ბოლომდე ქენი სიკეთეო. გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის რედაქცია საქართველოს მასწავლებლების სახელით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თხოვს: აღადგინოს უსამართლოდ გაუქმებული პედაგოგთა მატერიალურ-მორალური სტიმულირების ფორმა, როგორიც ადრე იყო **„დამსახურებული“** და **„სახალხო მასწავლებლის“** წოდებების მინიჭების წესი. ეს ჰაერივით საჭიროა, რამეთუ უმოტივაციო და იაფი განათლება არასოდეს იქნება ხარისხიანი. ყველას გვევალება, არ დავივიწყოთ **იოსებ ნონეშვილის** პოეტური სტრიქონი: „ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.





სახალხო განათლება+

სიტყვა და საქმე განუყოფელი

# ყოველწლიურად აღწევს დასახულ მიზანს



**ასეთი** ზნეცა აქვს განგებას: საცა უნდა იყო, რასაც უნდა აკეთებდე, მოგკიდებს უხილავ ხელს შენი ანგელოზი და იქ მოგიყვანს, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც მოგავლინა ამქვეყნად გამჩენმა. ზოგი იშნოვებს ამ მადლს, სხვანი – ვერა და ედებიან ლობე-ყორეს, არც თავისი იციან და არც სხვისას შეისმენენ. მათგან მოდის დილეტანტიზმი, უპასუხისმგებლობა, შური, მზაკვრობა და დიდგულობა, რამაც თვალდათვალ დაგვიქცია სამშობლო.

166-ე საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ **ირმა ომანაძეს** დედაუნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოკიდა უჩინარი ხელი მისმა ანგელოზმა და 29-ე საჯარო სკოლაში მოიყვანა ქიმიის მასწავლებლად. წარმატებული დასაწყისი წარმატებულადვე გაგრძელდა – დირექტორთა კონკურსი და საუკეთესოთა 20 %-ში მოპოვებული ადგილი.

ხომ სწორად დაუდგენია ქალბატონი ირმა მის ანგელოზს?

ეს აზრი მტკიცებულებად გიყელიბდებათ მასთან მცირე ურთიერთობისასაც კი – დიდებულად უწყის სკოლა, განათლების სისტემა; მსჯელობა დინჯი, დამაჯერებელი, ფაქტებით დამუხტული (ყოველი სიტყვიდან საქმე გამოსჩანს) და, ვითარცა ჭეშმარიტად შემოქმედთ, საქმისთვის მოწოდებულთ სჩვევიათ, პირადი დამსახურებას მიჩქმალვა და წინა პლანზე მთელი კოლექტივის ღვაწლის წამოწევა.

ლათინური ანდაზა გვასწავლის, გამეორება ცოდნის დედააო. მისი პერეფრაზით, რაიმე მოვლენას, დაწესებულებას რომ მიუბრუნდე გვარიანი მიზეზი უნდა გქონდეს, ან – კარგი, ან – ცუდი.

მხოლოდ ფაქტებით დავრწმუნდეთ, რამ მიგვიყვანა ხელმეორედ 166-ე სკოლაში.

პაგანინი იმიტომაც იყო ვირტუოზი შემსრულებელი, რომ ხელთ სტრადივარიუსის ვიოლინო ეპყრა.. ანუ, სათანადო პირობების გარეშე, პიროვნებისა თუ კოლექტივის მიერ გაწეული შრომა შედეგის ტოლფასი ვერ იქნება. ამიტომ, ამ სასწავლო წელს, გამართულ და სათანადოდ აღჭურვილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საკლასო ოთახი და სამასწავლებლო შეემატა, მოწესრიგდა და შეიღება ცენტრალური კიბის უჯრედები (ეს სკოლამ თავისი სახსრებით შეძლო). განვმარტავთ:166-ე სკოლაში 2013 წლიდან იყო შეხიზნული მე-100 სკოლა 420 მოსწავლითურთ. ცხადია, ამან სირთულეები წარმოშვა, მაგრამ ორივე სკოლის მეგობრული, კოლეგიალური თანაარსებობის მანძილზე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი არ შეფერხებულა. „ხიზნები თავის კერას“ დაუბრუნდნენ. ფართი გამოთავისუფლდა და 166-ე სკოლამაც მყისვე მოუნახა დანიშნულება.

ამ სასწავლო წელს 4 პირველი კლასი გაიხსნა 100 მოსწავლისათვის. მსურველი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ისედაც გადატვირთულმა სკოლამ, მეტის მიღება ვერ შეძლო. განათლების სამინისტრომ საჩუქრად გადასცა პატარებს სახელმძღვანელოები და **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.**

12 ოქროსა და 4 ვერცხლი მედალოსანი ჰყავდათ.

ოქრო**: ანი ბოტკოველი, ლედი მაისურაძე, ნუციკო ჟღენტი, ნიკა ბულისკირია, ნიკა გოგოლიძე, ანი შანშიაშვილი, სალომე ყალიჩავა, ბაია შარკოვა, ნია კვინიხიძე, ლუკა სოსიაშვილი, სანდრო ჩაჩუა, სალომე ხუცურაული;** ვერცხლი: **მარიამ მამულაშვილი, თინათინ რამიშვილი, მარიამ ჭოლაძე, ეკა ზერეკიძე.**

ისტორიის ოლიმპიადაში გაიმარჯვეს **ნიკა ბულისკირიამ** და **ლაშა სვინტრაძემ**.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მთელ სკოლას მოიცავს. პედაგოგებს ყოველ მოსწავლემდე მიაქვთ ცოდნა. ამის ერთი, მაგარამ უცხადესი დასტური: შარშანდელი 133 კურსდამთავრებულიდან, ყველა სტუდენდი გახდა. მათმა 70 %-მა მოიპოვა 100 – და 70 %-იანი გრანტები.

სხვაგვარად ვერც იქნება, როცა 90 მასწავლებლიდან 11 – წამყვანი და 54 უფროსი მასწავლებელია. თუმცა, პრაქტიკოსი მასწავლებლები არაფრით ჩამოუვარდებიან კოლეგებს და ყველა ერთობლივად დღენიადაგ ზრუნავს ქვეყნისთვის მცოდნე, ზნეობრივ-მორალურად მდგრადი, პატრიოტი თაობების აღსაზრდელად. 11 წამყვანი მასწავლებლიდან ხუთმა უფროსმა მასწავლებელმა: **ქეთევან კენჭიაშვილმა, მარინე კაპანაძემ, ნინო როსტომაშვილმა, ირმა ომანაძემ** და **ლალი ტურიაშვილმა** წლეულს აიმაღლეს სტატუსი.

ნათქვამია, ყველაფერს აქვს საწყის-სასრულიო.

**სასრული.** განათლების სამინისტროს ინციატივის შესატყვისად, სკოლა დატოვეს ღვაწლმოსილმა, ამაგდარმა პედაგოგებმა, ვისთვისაც ცხოვრების აზრი და არსი მომავალ თაობებზე აზრუნვა იყო, ვინც დღენიადაგ დაუცხრომლად ილვწოდა მოსწავლეტა მცოდნე, ღირსეულ მოქალაქეებად აღსაზრდელად: **თინათინ ქვლივიძემ, ფრაჯიზ კალანდარიშვილმა, ეთერ ბარსონიძემ, ოლღა რუხაძემ, ნანული ჩადუნელმა, ნარგიზ კიკნაძემ, მანანა მხეიძემ, ნაზი ექსეულიძემ.**

**საწყისი.** უფროსი მასწავლებლის სტატუსით შეემატნენ სკოლას: **მაგული ბუზიაშვილი, მაკა ჭიაბერაშვილი, გიორგი აბელაშვილი, მარიამ ცერცვაძე, თინათინ სურგულაძე, მალხაზ აბრამიშვილი;** მაძიებლისათი: **მერი წიქვაძე, ქეთევან გოგიშვილი, მაია უხურგუნაშვილი.**

გაგრძელება მე-4 გვ.

## ყურადღება!

**166–ე სკოლის ინიციატივა:**

**დავეხმაროთ შატილის სკოლა-პანსიონს!**

შატილის სკოლა-პანსიონი დაიწვა.

მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს, ჩვენი ერთობლივი წვლილი შევიტანოთ შატილის სკოლა-პანსიონის აღდგენაში, რადგანაც ისედაც თითქმის მთლიანად დაცლილი ხევსურეთისთვის ეს შეიძლება ბოლო დარტყმა იყოს!









სიტყვა და საქმე განუყოფელი

მესამე გვერდიდან

# ყოველწლიურად აღწევს დასახულ მიზანს



20-მდე საგნობრივ-შემოქმედებით უფასო წრეში ყმაწვილები ცოდნას იღრმავებენ, საჭირო უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებენ, რაც ერთობ წაადგებათ მომავალშიც. მინი-ფეხბურთშიც იმარჯვეს – თბილისის პირველობაზე პირველი ადგილი მოიპოვეს.

უნარიანად, კოლეგიალურად და საქმის ცოდნით მუშაობენ



კოლექტივთან დირექტორის მოადგილეები, ქალბატონები: **მაია კაკაურიძე** და **მაგდანა მდივანი.**

ტრადიციად დამკვიდრდა: სკოლა წელიწადში ორჯერ ეხმარება უპოვართ და მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს სამოსით, სანოვაგით, ტკბილეულით, მართავს კონცერტებს.

რაოდენი მადლია ეს, უპირველესად, თავად ქველმოქმედთათვის, რაოდენ უფაქიზდებათ სული ყმაწვილებს; სწავლობან მოყვასის სიყვარულს, თანალმობასა და თანადგომას, რაც აუცილებელია ჰარმონიული პიროვნების აღსაზრდელად.

საიდან იწყება სამშობლო? ოჯახიდან, გარემოდან და ეს თვალსაწიერი რომ გაფართოვდეს და თანდათან მთელი სამშობლო მოიცვას, სკოლის ისტორიის პედაგოგებმა, წამყვანმა მასწავლებლებმა: **ბარბარე ქებაძემ, მარინე მაღლაკელიძემ** და უფროსმა მასწავლებელმა, მუსიკის პედაგოგმა **მაგდანა მდივანმა** გრძელვადიანი პროექტი განახორციელეს – „რა სტკივა ხევსურეთს“. ერთ-ერთი აქტივობა შატილის სკოლა-პანსიონთან დაკავშირება და მისი დახმარება იყო. მოსწავლეებმა თავისი ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა მოაწყეს, შემოსული თანხით პანსიონისთვის სასწავლო რესურსები შეიძინეს და ადრესატს გადასცეს კიდეც. სამწუხაროდ, პანსიონი დაიწვა.

**166-ე სკოლა გამოდის ინიციატივით და მოუწოდებს ყველას, სრულიად საქართველოს, თავისი წვლილი შეიტანოს შატილის სკოლა-პანსიონის სასწრაფოდ აღდგენაში, რადგან ისედაც თითქმის მთლიანად დაცლილი ხევსურეთისთვის ეს შეიძლება ბოლო დარტყმა იყოს!**

განათლების სამინისტრო სიახლეებს ნერგავს. მათს შესახებ ყველაზე უკეთ სპეციალისტი იტყვის.

**ირმა ომანაძე:** „მისასალმებელია, რომ დაფასდა ღვაწლმოსილი პედაგოგების ამაგი და მათ ასე ტაქტიანად, მატერიალურად წელგამართულებმა დატოვეს სკოლები. კარგი ინიციატივაა „ახალი სკოლის მოდელი“ ძირითადად რეგიონებს რომ მოიცავს. შარშანდელ სასწავლო წელს მასში 50 სკოლა იყო ჩართული, წლეულს უკვე – 100-ია. ინიციატივა სკოლებში სწავლების თანამედროვე მიდგომისა და სტრატეგიების ადგილებზე ფასილიტაციით გაცნობას გულისხმობს, რაც მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს.



განათლების სამინისტროს „ეროვნული სკოლის“ პროექტის ფარგლებში, დამწყებ და პრაქტიკოს მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სასერთიფიკატო გამოცდების უფრო მარტივად ჩაბარების შესაძლებლობა ეძლევათ, რათა ადვილად დასაქმდნენ სკოლებში.

სამინისტრომ აქტიური ნაბიჯი გადადგა დეცენტრალიზებისკენ. სკოლებს მეტი თავისუფლება ენიჭება, რაც ძალზე კარგია.“

არის ხოლმე, გრძნობ, ნათვამზე მეტი სათქმელი დამრჩაო. ახლაც სწორედ ეს შეგრძნება დამეუფლა, რადგან 166-ე საჯარო სკოლის მიერ გაწეული მუშაობა გაცილებით ტევადი და მრავალმხრივია, ვიდრე ამ წერილში წარმოჩინდა, მაგრამ უმთავრესი, ვგონებ, ითქვა: სკოლის ღირსეული, მეგობრული კოლექტივი, რომლის ყოველ წევრს გასიგრძეგანებული აქვს დიდი მისია – სამშობლოსათვის ზნეკეთილი, მცოდნე თაობების აღზრდა, სრული შემართებით იღვწის საამისოდ და ყოველწლიურად აღწევს კიდეც დასახულ მიზანს.

**კონსტანტინე გურგენიძე**

გამარჯობა 90-ე ბაგა-ბაღელებო!

# ლამაზად გატარებული დღეები დაუვიწყარია



**სკოლამდელი** განათლების სისტემაში ყოველწლიურად ახალი ხედვები და გამოწვევები ინერგება, მოწესრიგებული ფიზიკური გარემო და მუშაობის შინაარსობრივი მხარის მაღალი დონე თვალშისაცემია, ინკლუზიური განათლების ხარისხი გაუმჯობესებული, საკვები – სტანდარტების შესაბამისად დაცული კალორაჟის — ამ ყველაფერზე კი ყოველდღიურად ზრუნავენ თბილისის 90-ე ბაგა-ბაღში. 22 წელია, რაც შემოქმედებით, კოლეგიალურ, პატივისცემასა და ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებულ კოლექტივში, სხვებთან ერთად უძღვება პატარების აღზრდას **ლია მიდელაშვილი** და მეოთხე წელია, რაც მისი ხელმძღვანელობით, ბავშვებისათვის შესაბამისი სივრცე-გარემოა შექმნილი. ბათუმის ქუჩაზე, ეს საბავშვო ბაღი 8 ათეულ წელზე მეტს ითვლის და ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, მუდმივად ხელის შევლებას საჭიროებს. ახალი სასწავლო წლისთვის ჩატარებული სამუშაოებითა და განახლებული ინფრასტრუქტურით კი მართლაც გაოცდებით: ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ძალისხმევით, გარემონტდა 5 ჯგუფი, დერეფნები და საწყობის ორი ოთახი, შეიღება კედლები, დაიგო იატაკი, შეიცვალა შემოსასვლელი კარი, გაკეთდა პანდუსი, შეილესა და შეიღება გალავანი. დიდუბის რაიონის გამგეობამ კი ეზოში ასფალტი დააგო. წლის ბოლომდე, სააგენტოს ახალი მოთხოვნის შესაბამისად, ავეჯის შეცვლა, ეზოში კი ატრაქციონებისა და კაუჩუკის საფარის მოწყობა იგეგმება. ქალბატონი ლია ეზოს გამწვანებაზეც ზრუნავს. წელს ეზოში პატარა გაზონიც გაჩნდა,



სადაც მწვანე ნარგავები, ყვავილები, მცენარეები დაირგვება.

მომავალი თაობის აღზრდაში თავისი წვლილი შეაქვს კოლექტივის თითოეულ წევრს — დირექტორის მოადგილე **დიანა ბასილაიას**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ მარგო ნამორაძეს და საქმისმწარმოებელ **ქეთო კორტავას**.



სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებმა წელს გადამზადება გაიარეს, სერთიფიცირებულები კი აღმზრდელ-პედაგოგებს ტრენინგებს უტარებენ. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, წარმატებით უძღვება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს **ეკატერინე შოვნაძე**: სკოლამდელ დაწესებულებაში აუცილებელია, რომ განვითარდეს სკოლისათვის მოსამზადებელი უნარები, რომელსაც ნელ-ნელა ვნერგავთ. სიახლეა, ის რომ გავედით ობიექტურ დაკვირვებაზე, ბავშვის საჭიროებებს ვაკვირდებით ინდივიდუალურად, ვგეგმავთ აქტივობებს, შეგვაქვს სიახლეები და ვცდილობთ სკოლაში მომზადებულები გავუშვათ. ეტაპობრივად ვავითარებთ ამ ხარისხის სტანდარტს.

ბაღში ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული გუნდი — ფსიქოლოგი **ხათუნა ბერიაშვილი** ჩართულია ჯგუფებში, აღმზრდელებს ეხმარება ობიექტურ დაკვირვებაში, გეგმების შედგენასა და აქტივობების დაგეგმვაში; ლოგოპედები – **ნინო ფუტკარაძე** და **დალი ფუტკარაძე** მცირე ჯგუფებში მუშაობენ, აკვირდებიან იმ პროცესებს, სადაც მათი დახმარებაა საჭირო; სპეციალური საჭიროებების ბავშვებთან მუშაობს სპეც. პედაგოგი **ნათია შაფაქიძე;**

ბაღში 7 ჯგუფში 275 აღსაზრდელია, აქედან 2 მზაობის ჯგუფია და წელს პირველად გაიხსნა ბაგის ჯგუფი. სპეციალური პროგრამების მიხედვით მიმდინარეობს სწავლების პროცესი ჯგუფებში, სადაც აღმზრდელები: **ნათია ნუგზარიშვილი, მაია მუშკუდიანი, ასმათ ასანიძე, ეკატერინე ლომოური, ნინო ინაური, ეკატერინე ზაქარაშვილი, გიული მიქაძე, თამარ ხარატიშვილი** და **მეგი ოჩხიკიძე** — ცენტრებში სხვადასხვა აქტივობებს ატარებენ.

თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით გაჯერებულ ჯგუფებში თითოეულ პატარაზე ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები: **თამარ ლომიძე, ეკატერინე ფოფხაძე, ნანა კალანდია, თეონა ნუგზარიშვილი, თამარ ანთაძე, რუსუდან ნუგზარიშვილი, ციალა ხარხელაური, თინათინ კალანდარიშვილი, ნინო ლობჟანიძე, ჟორჟეტა მიქელაძე, თეა მურცხველაძე, თეონა სიჭინავა;**



ლამაზად გაფორმებულ დარბაზში ჩატარებული ყველა აქტივობისა თუ ღონისძიების სულისჩამდგმელები არიან მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები — **თამარ ურუშაძე** და **მარიკა ბიჭიკაშვილი;**

კეთილმოწყობილ სამზარეულოში ბევრი საჭირო ნივთი და დანადგარი შეიცვალა, დაიდგა ელექტრო ქურები, გამოიცვალა ჭურჭლის სარეცხი დანადგარები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნავს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ფირუზი მინდაძე.** მუდმივად ხორციელდება მონიტორინგი სამზარეულოში, სადაც მზარეულები: **ვიოლა დოჭვირი, მადლენა ჯენდემიანი** და **ნონა ჩოხელი** უგემრიელეს კერძებს ამზადებენ;

ბაღის მოვლა-პატრონობასა და სისუფთავეზე ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: **სოფიო დევიძე, ნონა ბურაშვილი, ენძელა ბერუაშვილი, შორენა კაპანაძე, რუსუდან ბაღაშვილი, ლენა მოსეშვილი, ზინა ფოფხაძე, თამარ კაპანაძე, ლალი შირიმიანცი, ალექსანდრე ქვილითაია, დავით ცუცქირიძე, ლერი სოფრომაძე.**



წლის მანძილზე, ბევრი საინტერესო აქტივობა და თემატური ღონისძიება იგეგმება. ოქტომბრის ბოლოს, ყველა ჯგუფში, შემოდგომის გაცილების ფესტივალი გაიმართება და პატარებს ლამაზი დღეები ელოდებათ.

**ნათია გუგუნავა**

საქმემან შენმან...

# „ბარაკონი“ სანაქებოდ ასრულებს თავის დანიშნულებას






**ერთ** ქართულ ზღაპარს შეგახსენებთ: მემკვიდრე უფლისწულს თავდავიწყებით შეუყვარდა გლეხის თვალწარმტაცი ასული და ხელი სთხოვა. გოგომ ჰკითხა, რამე ხელობა თუ იციო. რა ხელობა, რის ხელობა, შეიცხადა ვაჟმა, მეფე ვიქნებიო. ეგ ხელობა არ არის. ისწავლე რამე ხელობა და გამოგყვებიო, დაუდო პირობა გოგომ. მეტი რა ჩარა იყო? 6 თვეში ისწავლა მეფისწულმა საარაკო სილამაზის ხალიჩების ქსოვა და იფსკვნეს გვირგვინი. გამეფებული ვაჟი ავაზაკებს ჩაუვარდათ ხელში. როგორ მიეწვდინა ხმა სასახლისთვის? ავაზაკებს უთხრა, ისეთ ხალიჩას მოვქსოვ, მხოლოდ მეფე თუ იყიდის; არ მომკლათ, ასეთ ხალიჩებს მოვქსოვ და საარაკოდ გაგამდიდრებთო. წამოეგნენ ანკესზე ავაზაკები და ხალიჩა დედოფალს მიართვეს. მყისვე იცნო ქმრის ნახელავი და იხსნა მეფე. ხელობა რომ არა გცოდნოდა, მეფობა რას გიშველიდაო? გაჰკრა კბილი გათავისუფლებულ ხელმწიფეს დედოფალმა.

კარგი ხელოსანი ოდითგანვე დაფასებული იყო. შორს გავარდებოდა ხოლმე მისი სახელი. სიტყვა ხელოვანი სწორედ ხელოსნისგან უნდა იყოს ნაწარმოები და რამდენი უბრალო საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის ნივთი გვინახავს ისეთი ოსტატობით დამზადებული, რომ სწორედ ხელოვნების ნიმუში გახლდათ?!

კვალიფიციური კადრების აღზრდა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია. ჩვენ კი რა ვქენით? ძირფესვიანად მოვთხარეთ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა. დიახ, ძალზე „გაბერილი“ იყო; დიახ, ფულიც ბლომად კეთდებოდა; დიახ, ფორმალობა ჭარბობდა, მაგრამ საქმეც კეთდებოდა. კარგი საქმე – ქვეყნისთვის დაბალი და საშუალო რგოლების სპეციალისტები მზადდებოდნენ. ისინი, ვინც უშუალოდ ქმნიდა, აშენებდა, ჩარხთან თუ დაზგასთან იდგა. ამ სისტემას დანგრევა კი – არა, დახვეწა, თანადროულობაზე მორგება სჭირდებოდა.

ახალ შედარებით გამოსწორდა ვითარება, არის პროფესიონალური კოლეჯები. ერთი ასეთთაგანი **„ბარაკონია“** (დირექტორები, ბატონნი: **გიორგი ფოფხაძე** და **რამაზ გიორგობიანი**). იგი 1992 წელს დაარსდა და მას შემდეგ ამზადებს სააფთიაქო ფარმაციის, საექთნო და საოფისე საქმის, კომპიუტერული ინფორმატიკის (ინფორმაციის ტექნოლოგია) სპეციალისტებს, ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგებს.

კოლეჯს ხელშკრულება აქვს გაფორმებული „ავერსთან“, ათამდე საავადმყოფოსთან, კლინიკასთან, სამედიცინო ცენტრთან, ბაგა-ბაღებთან. სასწავლებელში შეძენილ ცოდნას, რაშიც ძალზე უწყობთ ხელს სათანადოდ აღჭურვილი კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები, გამოცდილ, მონდომებულ პედაგოგთა შემოქმედებითი შრომა, სტუდენტები ამ დაწესებულებებში პრაქტიკულად იღრმავებენ, ხვეწენ და თითქმის დაუჯერებელი: საექთნო საქმის, ფარმაციისა და ბაგა-ბაღების აღმზრდელ პედაგოგთა სპეციალობებით კურსდამთავრებულნი თითქმის... 100 %-ით საქმდებიან. ასეთ ვითარებაში, როცა ქვეყანა ლამის კოლაფსშია, როცა სამუშაო ადგილების უდიდესი დეფიციტია თითქმის 100 %-ით დასაქმება მართლაც სასწაულის ტოლფასია. ამ სასწაულის შემოქმედი კი **„ბარაკონის“** მცოდნე, გამოცდილი, საქმის ერთგული პედაგოგთა კოლექტივია. პროფესიული მასწავლებლები: **ნინო კაკაბაძე, მადონა კაპანაძე, ვალიდა გაბრიჭიძე, ეკა ქებურია, მაია დუნდუა, ანა კვიჟინაძე, მარიამ რაზმაძე, ანა ალადაშვილი, ნუგზარ ჩადუნელი, ზვიად მამნიაშვილი, დიანა დანელიანი, მარინა წაქაძე-ლელაშვილი, მანანა სიხარულიძე, თინა თულაშვილი, ლალი ზარდიაშვილი, ქეთინო ბაგაური, იასონ ჭანტურია, ნინო ხაჩიძე.**

ცხადია, სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე ვერა საქმე ვერ წარიმართება ჯეროვნად. დიდია ხელმძღვანელის როლი რა გინდა რა დარგში. განსაკუთრებით, განათლების სისტემაში.

ბატონმა **გიორგი ფოფხაძემ** 1979 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ნევროლოგის სპეციალობით და მუშაობა ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიწყო. 1992 წელს კი, თანამოაზრესთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, კოლეჯი **„ბარაკონი“** დააარსა. თითქოსდა, საიდან – სადაო, მაგრამ, ჯერ რომ კოლეჯი სამედიცინო პროფილისაცაა და – „სისხლის ყივილიც“. წლების მანძილზე იყო საბჭოთა კავშირში გენეტიკა ცრუ, ფაშისტურ მეცნიერებად მიჩნეული. მერე კი ამ დარგში მაჩანჩალები აღმოვჩნდით.



ბატონ გიორგისაც „უყივლა სისხლმა“. გენმა თავისი გაიტანა: მისი მამა, ბატონი **გრიგოლ ფოფხაძე** ცნობილი პედაგოგი, განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, წლების მანძილზე გახლდათ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა, პედაგოგთა თაობებმა აიმაღლა კვალიფიკაცია, ტარდებოდა ძალზე სერიოზული, განათლების დარგისთვის ესოდენ საჭირო კვლევა-ძიებანი, მეცნიერული მუშაობა.

ჰოდა, იჩინა თავი გენმა. როგორ ხარისხიანადაც იჩინა, ზემოთ უკვე აღვნიშნე – თითქმის 100 %-იან დასაქმებას ვგულისხმობ, ანუ, გავმეორდები, ასეთ გამძაფრებულ კონკურენციისას, როგორ დონეზე უნდა ამზადებდე სტუდენტებს, რომ დასაქმების ასეთი მაჩვენებელი გქონდეს?!

შემოქმედებითად, კოლეგიალურად მუშაობენ პედკოლექტივთან და ყმაწვილებთან განათლების დარგის გამოცდილი მუშაკი, დირექტორის მიადგილე, ქალბატონი **ნინო ბოკერია** და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი **ნინო ხაჩიძე.** მან აქ დაიწყო შრომითი საქმიანობა და, დირექტორის თქმით, ძალზე პერსპექტიული, მზარდი კადრია.

სახელმწიფომ კერძო კოლეჯებსაც მიაქცია ყურადღება – ნაწილობრივ აფინანსებს მათ. სახელდობრ, „ბარაკონში“ ფარმაციისა და ინფორმაციის ტექნოლოგია ფინანსდება. არის ფასიანი და უფასო სწავლება. თუ აბიტურიენტი მისაღებ გამოცდებში სათანადო ქულებს დააგროვებს და გრანტს მიიღებს, მისთვის სწავლა უფასოა.

კერძო კოლეჯების ასოციაცია ხანგამოშვებით მართავს სხვადასხვა ღონისძიებას, კონკურსს სპეციალობების მიხედვით და, ვგონებ, ცხადია, რომ ბარაკონელები მუდმივად მოწინავეთა შორის არიან.

მომზადება-გადამზადების პროგრამის შესატყვისად, კოლეჯი სოციალურად დაუცველებსა და უმუშევრებსაც ემსახურება. იმავე პროგრამით ასწავლიან პრობაციონერებსაც. რაოდენი მადლია ეს. მით უფრო, რომ კოლეჯი ყველა ჩამოთვლილი ჯგუფის წარმომადგენელთა დასაქმებაშიც აქტიუარად არის ჩართული.

ერთ საგაზეთო წერილში ძნელია **„ბარაკონის“** მრავალმხრივი მუშაობის სრულად წარმოჩენა, მაგრამ უმთავრესი, ვგონებ, ითქვა – კოლეჯი სანაქებოდ ასრულებს თავის დანიშნულებას – კვალიფიციურ კადრებს ზრდის.

**კოტე სარალიძე**







# 117-ე სკოლა: განმსაზღვრელი ხარისხია!





**სტანისლავსკის** თქმით, თეატრი საგარდეროობოდან იწყება.

სკოლა კი საიდან იწყება? მასწავლებლიდან და მასწავლებითვე მთავრდება. არა აქვს მნიშვნელობა, დირექტორია თუ – მოადგილე. ისინიც, უპირველესად, მასწავლებლები არიან და სადაც გასიგრძეგანებული აქვთ, რომ მასწავლებლობაა ყველაზე დიდი თანამდებობა, სულიერი მდგომარეობა, როცა მრწამსი, შინაგანი ძალისხმევა გიხმობს დიდი მისიის – სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეობრივად მდგრადი თაობების აღსაზრდელად, იქ ეს მისია სრულდება კიდეც.

საამისოდ პედაგოგთა მოწოდება, მონდომება, ცოდნა და გამოცდილება ისე უნდა წარიმართოს, დალაგდეს, როგორც მდინარის დელტა, ყოველი ტოტი თავის კალაპოტში რომ მიედინება, ბოლოს კი ერთიან, ძალუმ ნაკადად განაგრძობს სვლას. ანუ, ყოველი პედაგოგის ინდივიდუალური ძალისხმევა, ჯამში, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ხარისხის, მათი ჰარმონიულ პიროვნებებად ჩამოყალიბებისკენ იყოს მიმართული.

სწორედ ასე მუშაობს, ასე ესათუთება ყმაწვილებს 117-ე საჯარო სკოლის 84-ვე მასწავლებელი, რომელთაგან ერთი – **ლია გორგაძე** (მათემატიკა) – წამყვანი; 73 – უფროსი და 10 პრაქტიკოსი პედაგოგია. 4 მასწავლებელი გარედაკვირვების შედეგებს ელის სტატუსის ასამაღლებლად.



სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე, პედკოლექტივის გარჯის მარგი ქმედების კოეფიციენტი გაწეულ შრომაზე ნაკლები იქნებოდა. მაგრამ სკოლას სათავეში განათლების დარგის გამობრძმედილი მუშაკი, ქალბატონი **მაია მეტონიძე** უდგას. მან 1988 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა 163-ე საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. შემდეგ 83-ე სკოლაში ასწავლიდა ფიზიკა-მათემატიკას და დირექტორის მოადგილეც გახლდათ. ჩვენში იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა, როცა, ვინც ჯერ არს, დაინახავდა და დააფასებდა კიდეც ახალგაზრდა სპეციალისტის ნიჭს, უნარს და შემართებას. და კარგია, რომ იმჯერად დაინახეს, დააფასეს და დააწინაურეს ახალგაზრდა სპეციალისტი. მერე 124-ე სკოლაში ასწავლიდა ფიზიკას და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეც იყო. 2009 წლიდან 117-ე სკოლაშია ფიზიკის მასწავლებლად და



დირექტორის მოადგილედ. 2014 წლიდან დირექტორია.

ანუ, ქალბატონმა მაიამ სკოლის ყველა საფეხური გაიარა. შიგნიდან იცის სკოლა, უწყის, რა უჭირს და რა ულხინს მასწავლებელს. ამიტომ იგი არა ოდენ „კაპიტნის ხიდურიდან“ ხელმძღვანელობს კოლეგებს, არამედ ერთ-ერთ მათგანად მიიჩნევს თავს, ვისაც მათზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. ასეთია მისი მრწამსი, ცხოვრებისეული კრედო, რაც სიახლეების მუდმივ ძიებაში, პასუხისმგებლობის ძირეულად გასიგრძეგანებასა და კოლეგიალობაში გამოიხატება. ყოველივე ამის ძირთაძირი კი ბავშვების დიდი სიყვარულია.

დირექტორს მხარში უდგანან, კოლეგებთან გააზრებულად და მიზანმიმართულად მუშაობენ პირველი მოადგილე, ქალბატონი **ლია გორგაძე** და მოადგილე, ქალბატონი **მარინე ბერაძე**.

მოვალეობის სრული შეგნებით, საქმის ცოდნით თანამშრომლობს დირექციასთან სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი **ბაბილინა თანდარაშვილი**.

გამართულად, შემოქმედებითად და ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს ყველა საგნობრივი კათედრა. ეს პროცესი ყველა პედაგოგს მოიცავს. შემუშავდა და ხორციელდება საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები. სახელდობრ: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული და თავისუფალი გაკვეთილების ჩატარება; პედაგოგთა პროფესიული სრულყოფის გზების დასახვა; წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.

ხდება ასე: რომელიმე მოვლენა ან ფაქტი თავიდან უარყოფითად განგაწყობს, მაგრამ, თუ ბარის პირს ღრმად ჩაკრავ, გაიაზრებ მოვლენასა თუ ფაქტს, უარყოფითი მყისვე დადებითად გარდაიქმნება.

დავაკონკრეტოთ: შარშან სკოლას 3 ვერცხლის მედალოსანი ჰყავდა. ოქროსი – არა. რატომ? იმიტომ, რომ ოქროს მედალი, მართლაც „ოქროსი“ უნდა იყოს – მოსწავლის ცოდნა სრულად უნდა შეესატყვისებოდეს მედლის ხარისხს. სკოლისთვის უმთავრესი სწორედ ხარისხია და არა – რაოდენობა! ფორმალობა, უპასუხისმგებლობა ყველა დარგში დამღუპველია, მაგრამ ყველაზე მეტად დამანგრეველი განათლების სისტემაშია, რადგან, სხვა ყველაფერთან ერთად, ყმაწვილების ფსიქიკაზე მოქმედებს ძალზე უარყოფითად – მათ ხომ კარგად უწყიან, თანაკლასელთაგან ვის არ ცოდნა აქვს, ხომ უმალ ხვდებიან სიყალბესა და დაუმსახურებლობას. ამიტომ სკოლის დიდებული პრინციპია და ყველგან მხოლოდ ასე უნდა იყოს, დაიმსახურე? ინებე! აგერ, ჩემი სტუმრობისას გადაეცათ პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში $X^3$ კლასის მოსწავლეებს **თათია ასლანიშვილსა** და **ნინო ონიანს** ლეპტოპები. დაიმსახურეს!




სკოლის წარმატების პირუთვნელი დასტური თუნდაც ისაა, რომ ექვსი პარალელური I კლასი ჰყავთ 152 მოსწავლით და მსურველი კიდევ ბევრი იყო და ისიც, რომ 1400 აღსაზრდელზე გათვლილ სკოლაში 1500-ზე მეტი მოსწავლეა.

წლეულს სამი ახალი პედაგოგი მიიღეს: **ხათუნა შათირიშვილი** (ბიოლოგია), **თათია ნავროზაშვილი** (მე და საზოგადოება) და **რიტა მარმარაშვილი** (სახვითი ხელოვნება).

სახელმწიფო ჯილდოთი წავიდნენ სკოლიდან ღვაწლმოსილი პედაგოგები, ვისაც ათწლეულების მანძილზე მრავალი თაობა აღუზრდია, ვისთვისაც მასწავლებლობა შინაგანი მრწამსი, მთელი სიცოცხლე იყო. ქალბატონები: **იამზე ჭეიშვილი** (ბიოლოგია), **ციური შპეტიშვილი** (დაწყებითი განათლება), **თინა წიკლაური** (რუსული ენა და ლიტერატურა), **მანანა ბუჯიაშვილი** (ფიზიკური კულტურა და სპორტი).

ახალგაზრდებს დაუთმო ადგილი ქართული ენისა და ლიტერატურის დამსახურებულმა მასწავლებელმა, ქალბატონმა **ნათელა ჯიოშვილმა**. ქართულ კლასიკურ მწერლობაზე ზრდიდა, სამშობლოს, მოყვასის სიყვარულს უნერგავდა იგი აღსაზრდელებს, ილიასეული რა ენა წახდეს, ერიც დაეცესოს შთააგონებდა მათ და ასეულობით მცოდნე, სამშობლოს მოყვარული ყმაწვილი აღზარდა.



სკოლამ ღირსეულად დააფასა ღვაწლმოსილთა ამაგი, ღირსი პატივი მიაგო მათ. „ახალწვეულები“ კი, გვჯერა, მალე შეერწყმიან 117-ე სკოლის შემოქმედებით, მეგობრულ კოლექტივს და აუცილებლად იტყვიან სათქმელს მომავალი თაობების აღზრდის რთულსა და საპატიო საქმეში, მასწავლებლობა რომ ჰქვია.

**კონსტანტინე გურგენიძე**

სახალხო განათლება+

22-ე სკოლა – მოწინავეთა ავანგარდში

# საქმეს სიყვარულით შეჭიდებულნი



**ეს სკოლა** ყოველთვის მოწინავე იყო დედაქალაქში. არც აქვს უფლება სიმაღლეების დათმობისა, რადგანაც მსოფლიო რანგის ფსიქოლოგისა და პედაგოგის დიმიტრი უზნაძის სახელს ატარებს. ამას თამამდ ვაცხადებთ იმიტომ, რომ აქ ძლიერი და საქმეზე შეყვარებული პროფესიონალები მოღვაწეობენ. ადმინისტრაციული ბირთვი შემოქმედი დირექტორის **რუსუდან ზედაშიძის,** მოადგილე **მარინა თითბერიძის,** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მშობელ **თამარ ლალიძის** და სხვა მუშაკების თაოსნობით განათლების სამინისტროს ინიციატივების რეალიზებას გვპირდებიან. რა გაკეთდა ამისთვის და რის გაკეთებას აპირებენ? ამაზე მოკლედ ვიმსჯელებთ. ბოლოს კი დირექტორის კომენტარებსაც გავეცნობით.

***

სახელმწიფო ჯილდოზე განცხადება გააკეთა და სკოლიდან წავიდა 14 პენსიონერი პედაგოგი,სკოლის დირექციამ და პედაგოგებმა ღირსეული გაცილება მოუწყვეს ღვაწლმოსილ და ამაგდარ პედაგოგებს.

დასაქმდნენ კონკურსში გამარჯვებული პედაგოგები: ქართული ენა და ლიტერატურა - **ფისო ადეიშვილი,** სპორტი - **ამირან სვანიძე,** მათემატიკა - **თამარ გოგოჭური,** ფიზიკა - **ნინო აბესაძე.**

სტატუსი აიმაღლეს: **ნესტან კუპრავამ**, გახდა მენტორი, ხოლო **მაია ბერიძეს, ხათუნა ჩიტიშვილს** და **მაყვალა ალელიშვილს** წამყვანების სტატუსი მიენიჭათ: **მარიკა რეხვიაშვილი, მაგდა დოჭვირი** და **თამარ ახობაძე** გახდნენ უფროსი მასწავლებლები. ვულოცავთ მათ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას და ხელფასის გაზრდას.

წელს სკოლაში გაიხსნა **სამი პირველი კლასი.** მოსწავლეებს დაურიგდათ **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“**

შარშან სკოლა დაამთავრა 105 მოსწავლემ . გაიცა 14 მედ-





ალი. აქედან 8 ოქრო და 6 ვერცხლის მედლები. პერსონალური კომპიუტერი გადაეცა 4 მოსწავლეს. ხომ შთამბეჭდავი შედეგებია?

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა შემოქმედებითი წრეები, ცეკვის სტუდია,ჭადრაკი,კარატე,კალათბურთი, სპორტის პედაგოგი **ამირან სვანიძე** გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ვეტერანებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ეს არის ოდენ ძუნწი ჩამონათვალი გაკეთებული საქმისა, წარმატებებისა, რომელსაც სანდოობის კუთხით, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვა.

ხოლო მოსწავლეთა ჩართულობისა და აქტივობის სფეროებში (ტურები, კონკურსები, სასწავლო-შემეცნებითი ოლიმპიადები) მიღწეული წარმატებები იმდენია, აქ ვერ ჩამოთვლით.

ახლა კი გაგაცნობთ დირექტორის მოკლე კომენტარებს სამომავლო გეგმებზე. მანამდე კი დირექტორის ლამაზ პედაგოგიურ ბიოგრაფიაზე ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ: დედაუნივერსიტეტის აღზრდილმა ფიზიკა-მათემატიკის ჩინებულმა სპეციალისტმა 178-ე, 179-ე. 56-ე საჯარო სკოლებში წარმატებით ილვაწა რიგითი პედაგოგიდან დირექტორობამდე.

**რუსუდან ზედაშიძე:** 22-ე საჯარო სკოლისათვის განმსაზღვრელია ის ფაქტორი, რომ სკოლა ატარებს გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის სახელს და მისი საქმიანობა მიზნად ისახავს დიდი მეცნიერის პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური შეხედულებების მოდერნიზაციას, სკოლის პედაგოგიურ პრაქტიკაში დიმიტრი უზნაძისეული **„აქტიური პიროვნების ჩამოყალიბების იდეის”** დანერგვას,რადგან მოსწავლე უნდა იყოს არა ცოდნის პასიური დამგროვებელი, არამედ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილე.



სკოლა მუშაობს რათა უზრუნველყოს უსაფრთხო და მრავლისმომცემი გარემო, საგანმანათლებლო გამოცდილება,რითაც ყოველ მოსწავლეს ექნება საშუალება მიაღწიოს ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებულ შედეგებს, გაიზარდოს აქტიური, ცხოვრებისეული პოზიციის მქონე, თავისუფალ ,შემოქმედებით მოქალაქედ, რომელსაც აქვს უნარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს 21-ე საუკუნის გლობალურ საზოგადოებაში.

ვცდილობთ მოსწავლეებს გავუჩინოთ მათივე სწავლა-აღზრდის პროცესში თანამონაწილეობის განცდა; სკოლაში შევქმნათ დემოკრატიული გარემო, მივაღწიოთ შრომისა და სწავლის მაღალ მოტივაციას. დავარწმუნოთ მშობლები, რომ მხოლოდ მათი აქტიური მონაწილეობით შეიძლება მაღალი შედეგების მიღწევა და მოსწავლეთა შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის პროცესში მაქსიმალურად ჩავრთოთ საზოგადოება.

მივესალმებით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ახალ ინიციატივებს. სამინისტრო მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს სკოლის კომპლექსურ შეფასებას, რომელიც **ხუთ კომპონენტს** მოიცავს: სწავლა-სწავლების პროცესი, დისციპლინა, ადამიანური რესურსი, ფინანსური რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩვენი მუშაობა სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს.რათა მივიღოთ საუკეთესო შეფასება.

მიღწეული შედეგი კი უნდა იყოს პროგრესზე ორიენტირებული.

სკოლაში გაიხსნა და წარმატებით ფუნქციონირებს სსსმ მოსწავლეებისათვის აუტისტური სპექტრის ინტეგრირებული კლასი.აქ 7 მოსწავლე სწავლობს. მათ ემსახურება სამი სპეც პედაგოგი,საგნის პედაგოგი და ფსიქოლოგი.

გვჯერა, ეს პირობა -განაცხადი წარმატებით განხორციელდება, რადგანაც ვიცით, რომ დირექტორისა და პედკოლექტივის სიტყვა და საქმე ერთია.

**ბორის კინდღელი**

გაიცანით გლდანის რაიონის 132-ე საჯარო სკოლა

# შეუძლიათ იამაყონ მიღწევებით



**დღეს თამარ მაჭარაშვილს** და მის კოლეგებს შეუძლიათ თავი მოიწონონ გაკეთებული საქმეებით. მთავარი ისაა, რომ აქტიურად უწყობენ ფეხს სიახლეებს, რეფორმებს, სამინისტროს ახალ ინიციატივებს და პრიორიტეტებს.

დირექტორს ძლიერ პედაგოგებთან ერთად მხარს უმშვენებენ ასევე გამოცდილი, შემოქმედი მოადგილე **ეკატერინე დათუკიშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ეკატერინე ჩეპოვსკაია** და პროფესიონალი პედაგოგები.

პედაგოგიური კადრები გაძლიერდა ახალმიღებული მასწავლებლებით, რომლებზეც დიდ იმედებს ვამყარებთ. ესენია: **ანა თოდუა, ირმა ქართველიშვილი, ლანა ჩადუნელი, ნუგზარ ერისთავი, სოფიო კაკაჩია, ცირა ოთარაშვილი.**

სტატუსამაღლებული პედაგოგებით ხომ უფრო განმტკიცდა სკოლა. მილოცვას იმსახურებენ: **როზა მანასიანცი, ნათია კუჭაშვილი, ელიკო აბუაშვილი, ინგა ბოლქვაძე, ბელა გიორგაძე, ინგა ამირჯანოვა, ემმა ასტვაცატურიანი, კარინე ეგოიანი.**

ნაყოფიერად მოღვაწეობენ საგნობრივი კათედრები და მათი ხელმძღვანელები: სახელმწიფო ენისა - **თამარ მამაგულაშვილი**, მათემატიკისა - **მაია კახნიაშვილი,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა - **მადონა სარალიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა - **ვალენტინა ახრახაძე,** დაწყებითი კლასებისა - **თეა ქარდავა**, სპორტისა და ესთეტიური მეცნიერებებისა - **ეკატერინე ჩეპოვსკაია,** უცხო ენებისა - **ზიტა შაგინიანი.**

გაიხსნა 4 პირველი კლასი-სამი ქართული და 1 რუსული.



მიიღეს **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“,** რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის ინგლისურ ენაში გამარჯვებულია **ანა კავლელაშვილი** 12-ე კლასის მოსწავლე - მასწავლებელი **თამარ ჩიკოიძე.**

პოპულარული სასწავლო-შემოქმედებითი წრეები: ქართული ხალხური ცეკვების წრის ხელმძღვანელია **ოლღა ზვადიშვილი,** სპორტული სამეჯლისო ცეკვებისა - **რეზო ბერიკაშვილი,** კარატეს შემსწავლელ წრეს კი **გიორგი მამისაშვილი** ამეცადინებს.

სპორტული მიღწევათა ჩამონათვალი:



ფეხბურთში **„კოკა-კოლას“** თასზე - მოპოვებულია მესამე და მეოთხე ადგილები გოგონებს და ვაჟებს შორის. (პედაგოგი **გიორგი ფანცულაია, ინა ნარიჟნიაკ**).

მაგიდის ჩოგბურთი წყვილებს შორის - მეორე ადგილი. პედაგოგები **ინა ნარიჟნიაკ** და **გიორგი ფანცულაია.**

კინგბოქსინგის-საერთაშორისო ტურნირში დაიკავეს მეორე ადგილი. პედაგოგია **გიორგი ფანცულაია.**

ბიბლიოთეკარი **ასმიკ დონაკანიანი** ბევრს მუშაობს მოსწავლეებში წიგნის კითხვის კულტურის ასამაღლებლად.



მანდატურები **თეიმურაზ გაბისონია** და **მაია ირემაშვილი** კი ზრუნავენ სკოლის უსაფრთხოებისათვის.

სამინისტროს ინიციატივებს შორის პრიორიტეტულია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელების მიზნით ჩვენს სკოლაში შეიქმნა ინტეგრირებული კლასი აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთათვის. ზოგადად სკოლა ემსახურება ოცდაათ სსსმ მოსწავლეს.

ეს, ყველა მიღწევა, შემოქმედი დირექტორისა და ძლიერი მასწავლებლების დამსახურებაა და წინ ფართო ასპარეზია. ახალ წარმატებებს გისურვებთ 132-ე სკოლელებო!

**ბორის მიშველაძე**



54-ე ბაგა-ბაღი უბნის მშვენება და სიკეთეა

# ბავშვების თვალებში მოციმციმე სიხარული







**განათლებისა** და შეფასების პროგრამა, სწავლისა და განვითარების სტანდარტები, მეტყველებისა და კომუნიკაციების უნარების ჩამოყალიბება, თამაშები და აქტივობები, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა – ზედმიწევნით კარგად სრულდება თბილისის **54-**ე ბაგა-ბაღში. მწვანე ნაძვნარში ჩაფლული ვარდისფერი შენობა შორიდანვე თვალშისაცემია. ეზოში არის სათამაშო მოედანი, საქანელები, ფანჩატური, სასრი-





ალო, აიწონა-დაიწონა და მწვანე სცენა, რომელიც მათ სხვებისგან გამოარჩევთ. აქ, პატარები, მუსიკის თანხლებით, ძალიან მხიარულ აქტივობებს ატარებენ, რაც გარედანაც კარგად ჩანს და გამვლელებსაც სიამოვნებას ანიჭებთ. დირექტორი **მეგი შამანაური** პროფესიით გერმანისტია, პედაგოგიური მოღვაწეობა სკოლიდან დაიწყო, ამ ბაგა-ბაღში 2015 წლიდან მუშაობს, 2016 წლის აპრილიდან კი ხელმძღვანელ პოზიციაზეა. მან წარმატებით გაიარა ტრენინგები თემაზე – **„მენეჯმენტის ზოგადი კურსი“, „ფინანსები არა ფინასისტებისთვის“** და სერტიფიკატებიც გადაეცა. იმ უზარმაზარი სამუშაოს შედეგზე, რომელიც წლების მანძილზე აქ გაკეთდა, შენობაში შესვლისთანავე დარწმუნდებით. მოწესრიგებულია მთლიანი ინფრასტრუქტურა, გარემონტდა ფასადი, მოიხატა კედლები, ფანჯრებზე გაკეთდა უსაფრთხოების ბადეები, დააყენეს საევაკუაციო სახანძრო დეტექტორები, რომელიც რეაგირებას ახდენს კვამლზე და ძალიან საიმედოა, გაკეთდა, აგრეთვე, საევაკუაციო მანათობლები, რომელთა მეშვეობითაც, სინათლის ჩაქრობის შემთხვევაში, შეიძლება გასასვლელი გზის მიმართულების დადგენა, გარემონტდა ჯგუფები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ეზოში მოეწყო პანდუსი. ყველაზე სასიხარულო კი სააქტო და სპორტული დარბაზების რემონტის დასრულება იყო.

მეოთხე წელია სამზარეულო ბლოკსა და პროდუქტს, საკვების გაცემისა და ჯგუფებში დასწრების პროცესს, სისუფთავეს, უსაფრთხოებას, მშობელთა ჩართულობას, დირექტორის მოადგილე **თამარ კიკნაძე** აკონტროლებს და დირექტორთან ერთად პატარებისთვის თბილ და მოწესრიგებულ გარემოს ქმნის. ასევე, თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან: ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები – **ირმა ტორიაშვილი** და **ირინე ვეშაპიძე;** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორები – **ზაირა წულუკიანი** და **რუსუდან კახეთელიძე;** საქმისმწარმოებლები **– ეკატერინე მინაშვილი და მარი დოლაშვილი.**





საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებმა **ლილი ხარაზიშვილმა** და **ინგა კიკალეიშვილმა** წლის დასაწყისშივე შეიმუშავეს ჯგუფებთან მუშაობის გეგმა. გაწერილია ადრეული ასაკის აღზრდისა და განათლების, ახალი სტანდარტების მიხედვით მზაობის ჯგუფებში მუშაობისა და ახალი მიდგომებით სკოლისათვის მზადების გეგმა. გაიარეს ტრენინგები, აიღეს სერტიფიკატები და თავად ახდენენ აღმზრდელების გადამზადებას.

მაქსიმალური შედეგის მისაღებად და იმისათვის, რომ საბავშვო ბაღის გარემო იყოს ინკლუზიური, ჩართული, მშვიდი და კარგი – ფსიქოლოგები **ნინო ამირეჯიბი** და **ეთერ გეჯაძე** – აკვირდებიან, თუ როგორ ახერხებს აღმზრდელი ყველა ბავშვის ჩართვას იმ აქტივობებში, რისი რესურსიც აქვთ. მულტი გუნდი იკრიბება წელიწადში 3-ჯერ და ხდება პრობლემების განხილვა, ინდივიდუალური განვითარების ბარათების შედგენა, სადაც მითითებულია სტრატეგიები.

ლოგოპედი **მარინა გეგეჭკორი** წლის დასაწყისში ეცნობა ბავშვთა მდგომარეობას, ასაკობრივი ჩლიფინი და ზოგიერთი ბგერის გამოთქმის პრობლემა, შედარებით ადვილად გამოსწორებადია. მეტყველების დარღვევის რთული ფორმების შემთხვევაში კი ხდება აღსაზრდელების გადამისამართება სპეციალისტებთან და რეკომენდაციების საფუძველზე იწყება მუშაობა.





გაგრძელება მე-9 გვ.

54-ე ბაგა-ბაღი უხნის მშვენება და სიკეთეა

მერვე გვერდიდან

# ბავშვების თვალებში მოციმციმე სიხარული



ბავშვთა რაოდენობიდან გამომდინარე, ბაღში 3 სპეც. პედაგოგია – **თამარ ფარქოსაძე, ნინო ზედგინიძე და ნათია მამაცაშვილი.** წლის დასაწყისში ხდება ბავშვებზე დაკვირვება, მშობლებთან შეხვედრა და მულტიდისციპლინარული გუნდის ერთობლივი მუშაობით, დგება ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების გეგმა, შემდეგ ირჩევენ პრიორიტეტებს. **სასკოლო მზაობის** ჯგუფებში უპირატესობა ენიჭება აკადემიური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც გულისხმობს ჯერის რიგის დაცვას, ანალიზის გაკეთებას, გაზიარების უნარს, ჩართულობას. საჭიროებისამებრ, ზოგიერთი მათგანი დადის რეაბილიტაციის ცენტრებში და იქაური რეკომენდაციების საფუძველზე გრძელდება კომპლექსური მუშაობა. აქვთ რესურსოთახი, რომელიც მომარაგებულია ნებისყოფის გამოსამუშავებელი შესაბამისი მასალით, სადაც სხვა ნივთებთან ერთად, შეიძლება იყოს მაგალითად, ქვიშა, წიწიბურა და სხვა.

ბაღში 15 ჯგუფში 560 ბავშვია, აქედან ბაგის – 3 და მზაობის – 4. ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებს ითვალისწინებენ სასკოლო მზაობის ჯგუფებში: **„ციყვები“– დოდო ქუთათელაძე** (აღმზრდელი), **ელმირა ორთოიძე** (აღმზრდელის თანაშემწე); **„ციცინათელები“– თამარ ბუხნიკაშვილი, ლია ივანაშვილი** (აღმზრდელები), **ლალი ლეკიაშვილი** (თანაშემწე); **„მტრედები“– რუსუდან გიგაშვილი** (აღმზრდელი), **ქეთევან ღამბაშიძე** (თანაშემწე); **„გვირილები“ – თამილა ეძგვერაძე** (აღმზრდელი), **მაკა ფორჩხიძე და ნინო ქეთელაური** (თანაშემწეები).

ბავშვების სააზროვნო თუ სხვა უნარების განვითარებისათვის ხალისიან და მრავალფეროვან გარემოს ქმნიან აღმზრდელები: **მაია წიქარიშვილი, ხათუნა გაბინაშვილი, მზია გოლოშვილი, ლელა ბუაძე, შორენა ლომიძე, მაია მამულაშვილი, ცირა აგაშენაშვილი, ლია სამხარაძე, ნანი კაპანაძე, თეა მექვაბიშვილი, მაია მახარაძე, ეთერ ჯამარჯაშვილი;**

მოვლა-პატრონობას არ აკლებენ პატარებს აღმზრდელის თანაშემწეები: **ელდინო ნადიბაიძე, რუსუდან დიდებაშვილი, მაკა ჩომახაშვილი, ეკატერინე კვინიკაძე, ლია წიკლაური, ქეთევან ბერიტაშვილი, ირმა ბერიტაშვილი, მადონა მერებაშვილი, თეა ჭელიძე, ციური ხვედელიძე, შორენა კოშაძე, ნანა ხატისკაცი, მაია ლურსმანაშვილი, მზია ვარდოსანიძე, მარიამ ფილაური, მაია რომელაშვილი, გულნარა ბეჟუაშვილი;**

ბავშვების შემეცნებითი უნარების განვითარების მიზნით მაღალ-ესთეტიკურ დონეზე ტარდება ზეიმები, საინტერესო ღონისძიებები. ყველას ვინ ჩამოთვლის. ეს ყველაფერი აქ მოთავსებულ ფოტოებზეა ასახული.

რაც შეეხება კვების ბლოკს – სამრეცხაოს ცოტაოდენი ფართის ხარჯზე მოხდა სამზარეულოს გადიდება, ძველი გაზქურები ჩაანაცვლეს ახლით,



შეიძინეს რამდენიმე მაცივარი, მწერებისგან დამცავი ბადეები, სამაცივრე თერმომეტრები, ცალკე მაცივრები კვერცხისა და რძის პროდუქტებისთვის,



სარეცხის მანქანა სამრეცხაოსთვის, აქვთ ღია სტელაჟები; მზარეულები – **თამარ კუტალაძე, მზია ჯანიკაშვილი, მადონა გიორგიძე და მარიამ ქურდაძე** პატარებს უგემრიელესი კერძებით უმასპინძლდებიან. სურსათის უვნებლობისა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოების მხრიდან ხშირად ხორციელდება მონიტორინგი, მენიუ გამოკრულია ორივე ფლიგელში, მშობლებისთვის თვალსაჩინო ადგილას.

პატარები აქტიურად მონაწილეობენ ღონისძიებებში, გამო-ფენა-ფესტივალებში, როგორიცაა, მაგალითად **„პატარა ხელებით“,** სადაც მადლობის სიგელითაც დაჯილდოვდნენ, შემოქმედებით აქტივობებში, ქმნიან ახალ მუსიკალურ ნომრებს. ეს ყველაფერი კი მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების – **ქეთევან სომხიშვილის, ქეთევან გონცაძის, ნათია წიკლაურისა და ირინე მიროტაძის** დამსახურებაცაა. დირექტორის ინიციატივით, შეიძინეს და დერეფანში დაამონტაჟეს ხმის გამაძლიერებელი, რომლის საშუალებითაც ყოველ დილით, მუსიკის ფონზე იწყება აღსაზრდელთა ბაღში მიღება.





დაუღალავი შრომის შედეგს ეზოში შესვლისთანავე იგრძნობთ, რაშიც საკუთარი წვლილი შეაქვს ტექნიკურ პერსონალს. ესენი არიან: **მაია ბიჭიკაშვილი, ნარინე კალოიანი, ნანული მოძმანაშვილი, ნანა ჩახიძე, ლიანა წერეთელი, მარეხ ჭოველიძე, მარიამ გედევანიშვილი, ლია ოდიშელიძე, ნელი ჯულაყიძე, თამარ დოხნაძე, ინგა აკოფიანი, მაია ტაბატაძე, ციალა გელაშვილი, შორენა ბიწაძე, ციცინო ბერძენაძე, რაისა ქურდაძე, მაკა ცუხიშვილი, პავლე ლომიძე, მერაბ ქურდაძე, დავით საბაშვილი, იური დევდარიანი, გრიგოლ გურგენიძე.**

2019 წელს საჭადრაკო კლუბ ოლიმპიურ ჩემპიონში გლდანის რაიონის ბაღებს შორის 54-ე ბაგა-ბაღმა აიღო მეორე ადგილი; ასევე, წლიური ანგარიში წარუდგინეს მშობლებსა და კოლეგებს.

როგორც **მეგი შამანაურმა** აღნიშნა, მისთვის პრიორიტეტი ინფრასტრუქტურა, უსაფრთხო გარემო და მუშაობის შინაარსობრივი მხარეა. დირექტორი ყოველწლიურად, ცდილობს რაიმე ახალი დაახვედროს ბავშვებს. „თუ ბავშვის თვალებში ვიგრძენი სიხარული, ესე იგი მივაღწიე იმას, რაც ჩავიფიქრე. განსაკუთრებულად მინდა ხოლმე აღვნიშნო სასწავლო წლის დაწყების პირველი დღე და არც წლევანდელი წელი იყო ამ მხრივ გამონაკლისი. მოვიწვიეთ ზღაპრის გმირები და მხიარული ღონისძიება მოვაწყვეთ. სამომავლოდ, მინდა ბევრი ლამაზი პროექტისა და აქტივობის განხორციელება, რაშიც სააგენტოს მხრიდან მუდმივი მხარდაჭერა გვაქვს.“ ამ მიზნის წარმატებით განხორციელებას ვუსურვებთ.

**ნათია გურგენიძე**





# „კვეტარის ასული“ - ხათუნა თედიაშვილი



**დაიბადა** კახეთში, ახმეტის რაიონში, ილტოს ხეობაში, ისტორიულ ციხე-ქალაქ კვეტარასთან ახლოს. სწორედ, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულიდან მომდინარეობს მისი ფსევდონიმი - **„კვეტარის ასული“.**

წერა ადრეულ ასაკში დაიწყო... მისი შემოქმედება მრავალფეროვანია, თუმცა, მასში მაინც სჭარბობს პატრიოტული და ისტორიული ლექსები. „ავბედითი 90-იანი წლებიდან, გარკვეული მიზეზების გამო, შინაგანი პროტესტის ნიშნად, პრინციპულად, თითქმის ოცი წელი არაფერი დამიწერია... წერა მას შემდეგ გავაგრძელე, რაც პირველად გავხდი ემიგრანტი და ამ პერიოდშივე მომიწია ერაყთან დაკავშირებული სტრესული მდგომარეობის გადატანამაც... სულის განცდების ფურცლებზე გადმოტანამ საოცარი შვება მომგვარა, თითქოს მეორედ დავიბადე... მივხვდი, რომ პოეზიის გარეშე ჩემს არსებობას აზრი არ აქვს... არ ვარ ამბიციური ადამიანი, ჩემს თავს პოეტს ვერ ვუწოდებ, უბრალოდ, ვცლი ჩემს გრძნობებს და ემოციებს ლექსებად“ - გვითხრა **ხათუნა თედიაშვილმა**.

ხათუნა სპეციალობით ბიბლიოთეკარია. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი, სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ის სამი ჯარისკაცის დედაა. მეუღლე ორი ომის ვეტერანია და ოცდასამი წელი ღირსეულად ემსახურა საქართველოს. შვილებიც საკონტრაქტო სამსახურში იმყოფებიან, ერთ-ერთმა ვაჟმა, ორჯერ მიიღო მონაწილეობა სამშვიდობო მისიაში ავღანეთში. ხათუნა ამჟამად ემიგრაციაში იმყოფება, როგორც ყველა ემიგრანტი ისიც ოცნებობს სამშობლოში დაბრუნებაზე.

გაზეთი **„სახალხო განათლება+“** სიამოვნებით წარმოგიდგენთ **„კვეტარის ასულის“** - მუზის ნაყოფს...

## ანთიმოზ ივერიელს!

**სამცხი**ს მთაში დაბადებულს, ბედმა ეს რა მოგიწყო,
ყიზილბაშთა დარბევისას, სახლი სისხლით მოგირწყო,
დედა, მტერმა იქვე მოკლა,ხანჯლით სახლთან ასჩეხა,
ტერასები დაანგრიეს, ვენახებიც გასჩეხა.
მამა მაშინ, შორს იყო და საფარაში ქვას თლიდა,
დედა მიწას მიაბარე, გარეჯს წახველ, იმ დღიდან,
მონასტერში იზრდებოდი და სწავლობდი ბერებთან,
უფლისაგან მომადლებულს, ნიჭი ყველგან გეძებდა,
მამა მუდამ გასწავლიდა, ძლიერ, ძლიერ უყვარდი,
როცა ბერნი შენ გაქებდნენ, ალბათ გულში უხარდი.
ხან ქვას თლიდი აღტაცებით, მერე სენაკს გალობდი,
უფლის მტკიცე რწმენა გქონდა და ლოცვებით ხარობდი,
შენი ნიჭი მრავალმხრივი, აკვირვებდა ბერებსაც,
გაქებდნენ და გიკურთხებდნენ, მაგ დალოცვილ ხელებსაც,
მერე, ასე ბედნიერი, წლები მალე დამთავრდა,
ყიზილბაშთა ურდოებმა, ყველა გარეჯს აწამა,
დაარბიეს მონასტერი, ბერებს ხანჯლით კაფავდნენ,
თვალდათხრილი წმინდანები, სულს უფსკრულში ღაფავდნენ,
საგანძური ჩაგაბარეს, გთხოვეს მისი დამალვა,
მაგრამ მამის სიყვარულმა შენი გული დასტანჯა,
ჯორკიდული საგანძურით, ისევ გარეჯს დაბრუნდი,
რაც იქ ნახე საშინელი, თითქოს უცებ დაჰყრუვდი,
მტერი ისე მოგეპარა, ქვეყნის ვალი დაგადო,
წიგნი ხანძარს ჩაუკეთეს, ბორკილები დაგადო.
სტამბოლის გზას გაგიყენეს,იქ ბაზარში გაგყიდეს,
გულზე ჯვარით დაკიდებულს, უფლის კარი განგიღეს.
რადგან იქაც ქრისტიანმა, მღვდელმა გამოგისყიდა,
წაგიყვანა საბერძნეთში, მწიგნობრობას მოგკიდა.
ბოლოს, ვლახეთს სამეფოში, გაგამწესეს შენ ბერად,
აქ დაიწყო ყველაფერი, ის რაც წმინდანს ეხება.
შენი ღვაწლი რუმინეთში, უფრო მერე დაფასდა,
მანამდე კი ივერიელს, მძიმე ტანჯვა გადაგხდა,
სამშობლოდან დიდი ვალი წაიყოლე ვლახეთში,
თუმცა, ერთი მოიხადე, სტამბა როცა შეჰქმენი,
ვახტანგ მეფეს დაეხმარე, წიგნის სტამბა აჩუქე,
საქართველოს ერის შვილებს, ცოდნის კარი გაუღე.
ის მეორე ვალი დარჩა, გვარიც კი არ იცოდნენ
და ფესვები შენი მიწის, შვილსაც კი ვერ ითხოვდნენ,
რუმინეთში უფლის ტაძრებს, შენი ხელით აგებდი,
მერე ისევ დალოცვილი საკმევლითაც აკმევდი,
ხარაჩოზე ხშირად ასულს, ფრესკა ხელით გიხატავს
და შიგ ქართულ ასოებით, წმინდანები გიქარგავს.
თვითონ თვალით იხილე და შეესწარი სასწაულს,
თითქოს ყველა ელოდება კვლავაც იმ დიდ საზღაურს,
ნახე ზღვაში ივრის ხატი, როგორ, შორად ცურავდა,
ახლოს არვინ მიიკარა, ის გაბრიელს უძახდა,
მერე ზღვიდან წმინდა ხატი, მაღალ მთაზე დაბრძანდა,
უფალს მადლი მიუძღვენი, რაც კი თავზე გადაგხდა.
მტერი აქაც არ მოგეშვა, კვლავ ფეხდაფეხ დაგდევდა,
როცა შენი სახელი და მწიგნობრობა აღზევდა,
სწორედ მაშინ გიმუხთლეს და მოშორება ინდომეს,
შენი დასჯა ხეობაში, იქ დუჩეში ითხოვეს,
წაგიყვანეს ხეობაში, წერა-კითხვის არმცოდნეთ,
ნაბრძანებიც ვერ გაიგეს და ისევ შენ შეგთხოვეს,
შენი ბაგით ამეტყველდა, ის წერილი ანთიმოზ,
თავი მოსჭერთ და გვამი კი, გადამალეთ ვლახითო.
უცებ, ზეცამ დაიგვრგვინა, წვიმა მოდის მაღლიდან
და იქ დუჩეს ხეობაში დაიბადე ახლიდან.
რადგან მტერმა თავის კვეთით, მაინც ვერა მიიღო,
შენი რწმენით და სიწმინდით, კი უფალმა მიგიღო.
სამცხის მთებში დაბადებულს, ბედმა ეს რა მოგიწყო,
აქ ფესვებიც არ იციან, მაინც მიწა მოგითხოვს,
ახლაც ჰკივის, იქ მტკვრის პირზე, შენი ჟღალი მიმინო,
ნეტავ სად ხარ, უშენობა კვლავ სადამდე ვითმინო.

## გურჯი ხათუნ!

**უცხო** მიწას შეეზარდეთ, მისი გახდით ნაწილი,
მაგრამ სული აქ დატოვეთ, დაბრუნების წადილით,
სამშობლოდან გატაცებულთ, ქართველ ლამაზ ასულებს,
გყიდდნენ სტამბოლს ბაზრობაზე, როგორც გურჯის ხათუნებს.
ზოგს, ბატონი გიმეტებდათ, გაგზავნიდნენ შაჰებთან,
პირველ ცოლად გსვავდნენ მერე, გდარაჯობდნენ კარებთან,
რამდენ ცირას და თამარ ქალს დაუბნელდა თვალები,
როცა შაჰის ჰარამხანას, აახლებდნენ ქალებით.
გურჯი ხათუნ მოიყვანეს, კოლხის ტურფა, მშვენება,
მთელი გზაა მღერის ნანას, წუთით არა ჩერდება,
მეგრულ ნანას ისე ტკბილად, ისე გრძნობით მღეროდა,
ტყვე ქართველთა, თვალზე ცრემლი წუთით არა შრებოდა.
დაუშლია დალალები, ოქროსფერი თავთუხის
თვალები კი, ლურჯი ტბები, ვით ისრები ამურის,
სახეს ცრემლის ღვარი მოსდევს, წამწამს უხვად ჩამოდის,
გურჯო ხათუნ, გურჯო ხათუნ, შენს შვილს ვინღა გამოზრდის.
შვილი ზღვაში გადაგიგდეს, სულ პატარა ფერია,
და ტუჩები მის მერეა, იავნანას მღერიან.
მერე, როცა დედამ შვილის დარდსაც ვეღარ გაუძლო,
ღამე ჩუმად მოჰკლა შაჰი, მტარვალს წესი აუგო...
ის კი როგორც, გურჯი ხათუნ, გიაური, ალქაჯი,
სტანჯეს ცეცხლით და მახვილით, ბევრჯერ გულის წასვლამდის.
სიკვდილის წინ მეგრულ ნანას, ისე ტკბილად მღეროდა,
რომ ჯალათებს, ხელის თრთოლვა გულს კანკალი ერთვოდათ.
ბოლოს, რომ ვერ გააჩუმეს, თავი ხანჯლით მოჰკვეთეს,
ნაწილებად ასჩეხეს და უცხო მიწას მოფანტეს.
ახლაც ისმის ,ზღვასთან ახლოს, ის მეგრული ნანინა,
გურჯი ხათუნ რომ მღეროდა: იავნანა-ნანინა...

***

**მე**, კვლავ მინდა საქართველო, ძველებური დიდებით,
ქართველ შვილთა ვაჟკაცობა ისევ, იმ ძველ ღირსებით.
უქარქაშო ხმლებით ნაბრძოლ, საქართველოს ვხედავდე,
იდგეს ფეხზე, როგორც წინათ, მტერი, ვერას ჰბედავდეს.
მინდა, ისევ იზრდებოდნენ, დემეტრე და თევდორე,
თავისუფალ საქართველოს, თავზე ვერავინ ესხმოდეს,
დაგვიბრუნდნენ ვაჟკაცები, ალგეთს ლეკვად დაზრდილნი,
მტერს რომ შიშის ზარსა სცემდნენ, არა სიტყვით, მახვილით.
მინდა, ისევ ქართლის დედა, ცხრა გმირი ძმის აღმზრდელი,
ბრძოლის ველზე, შვილის გვერდით, ქართულ დროშის დამჭერი.
ულალატო ცოტნე მინდა, და მაია წყნეთელი,
კვლავაც დიდი საქართველო, არა ნაკუწ, მთელ-მთელი.
მინდა, ყველა ტაძარი და ეკლესიაც გალობდეს,
ანთებული კელაპტრები, უფლის მადლით ჰხარობდეს.
მე კვლავ მინდა საქართველო, აღსდგეს ყველა დიდებით,
დავიბრუნოთ, ყველა კუთხე, ძველებური ღირსებით.

***

**როგორ** დაღლილხარ კალამო ჩემო,
მაგრამ არ უნდა შეჩერდე არა,
შენ ჯერ ბევრი გაქვს სათქმელი ქვეყნად
და გაჩუმებას შეეშვი, კმარა.
დრო ხომ არ იცდის, შეხედე გარბის
და მას ფეხდაფეხ, მისდიო უნდა,
უმღერე ისევ შავ მერცხლებს ჩემო
უცხო ქვეყნებში, გაფრენილთ გუნდად.
რადგან, აცივდა საქართველოში,
თან აღარც სარჩო არა აქვთ, არა,
მიტომ, მიდიან თბილ ქვეყნებში და
იქ იშენებენ ბუდეებს მაგრამ.
ვერ ძლებენ მერე, დიდხანს ისინი,
პირველ გაზაფხულს თან მოჰყვებიან,
შემოიფრენენ ჭიკჭიკით მთა-ბარს
და თავის ბუდეს კვლავ მოძებნიან.
ნუ გაიწყვიტავ იმედებს, ჩემო
ხელის ჩაქნევა ადრეა, კმარა,
შენ, ჯერ ბევრი გაქვს სათქმელი ქვეყნად
და ამიტომაც ჰო, წერე კვლავაც.

***

**დილას** ალიონზე მუზამ გამაღვიძა,
მოდი ვიცეკვოთო ვალსი,
ფეხზე წამოვდექ და იმ წამს დავეთანხმე,
იქნებ ბოლოჯერ მაქვს შანსი.
წელზე შემომხვია მკლავი ძალუმად და
ხარბად მიმიზიდა მკერდზე,
ლექსის სტრიქონებზე დაღვრილ მელოდიას,
ერთად ვუმღეროდით ჩვენზე.
როგორ გვიყვარდა და როგორ მოველოდით,
კვლავაც ამ შეხვედრის წამებს,
ჩვენი, ერთად ყოფნა მზესაც უხაროდა,
სხივთა ჯილას მფენდა ქალღმერთს.
მაგრამ ,უცაბედად ცივმა ქარიშხალმა,
წამში აურია გზები,
მუზას გამოგლიჯა ჩემი სხეული და
თმებიც დამაწიწკნა, თმებიც...
თვითონ მოინდომა, ჩემთან ვალსის ცეკვა
და სულგაყინულმა ავმა,
მე, შორს გამიტაცა სადღაც უკუნში და
იქ, ძირს დამიტანა ზვავმა.
მუზა დამტიროდა, ჩემი სტრიქონებით
მფენდა პოეზიას ფურცლად,
ცრემლთა ღვარღვარებას ვერც მზე მალავდა და
ჩემთან დაშორებას სწუხდა.

***

**ამ** დილას ალიონს შემოვხვდი სტრიქონთან,
უძილომ მუზასთან ვათიე ეს ღამე,
ვეცადე წასვლა და არაფრით მომეშვა,
უთქმელი, ნუ წახვალ, მითხარო, მე რამე
ვიცი, რომ ცხოვრება ყოველდღე ბრძოლაა
და მხოლოდ ძლიერებს, ძლიერებს უმართლებს,
მას ჰქონდა იმედი ჩემი და რატომღაც,
მე დღემდე მოვდევ და ამ იმედს ვუმართლებ,
ბევრჯერაც დავეცი მუხლებზე და მაინც
შევძელი ათასჯერ თავისით ადგომა,
უფალი და მუზა არასდროს მტოვებდნენ
და არც მე მიცდია მათ გვერდზე განდგომა.
მე ახლაც კვლავ ვებრძვი ბობოქარ ცხოვრებას,
ჩემთვის რომ არასდროს არ რჩება ადგილი,
გპირდები, ძვირფასო ამ ომსაც მოვიგებ,
თუმცა კი, უმსხვერპლოდ არაა ადვილი.

***

**აქ** ყოველდღეა წვიმები იცი?
და ეს ქარებიც სულში ატანენ,
ხელების თრთოლვით დაგეძებ, სადა ხარ,
მაგრამ, ვერ გპოვე კიდევ აქამდე.
ჩამოეცალა ჭადარს ფოთლები
და სათითაოდ ქარმა გახვეტა,
ისე წიოდა ნერვებაშლილი,
თითქოს, სურდაო სულის გახვრეტა.
მერე, მოვარდა ღვარცოფად წვიმა,
სულ გადარეცხა გრძნობების სამანიც,
ვეძებე გზები შენამდე მაგრამ,
ავაჰმე, ვხედავ არსად არ არის....
შენთვის - კვლავ ცელქი გოგო ვარ,
სხვისთვის - უბრალოდ, ქალი
და ღიმილებით დახუნძლულს,
ცრემლით მიბრწყინავს თვალი.
რომ მახსენდება ბავშვობა,
ლურჯთვალა იის მოსვლა,
ბუტია გოგოს ტუჩებზე,
გაზაფხულების კოცნა.
ქარში დაშლილი ნაწნავი,
აწითლებული ლოყა,
რა ტკბილი იყო ბავშვობა,
თუმცა, შორი გზა გვყოფდა.
შენ ცაში იყავ, მე მიწას
შემორჩენილი ნამი,
ვისთვის - უბრალო გოგონა,
შენთვის - ნახატი კალმით.
მერე რა იყო, არ ვიცი,
სულ წაიშალა ხსოვნა,
და შემოდგომა ფერადი ძაფით,
კვლავ ჩვენ ბავშვობას ქსოვდა.
შენ მიმღეროდი, მე ლექსებს ვწერდი,
გავლიეთ ასე წლები
და ჩიტბატონავ, შენს მოლოდინში
შემომათეთრდა თმები.



***

**ბიჭები** ვეფხვივით მებრძოლნი,
ცხელ ქვიშას კვალავენ, ნაბიჯით,
მგლის ლეკვნო, ალგეთში დაზრდილნო,
ავღანეთს მშვიდობით გაგიშვით.
ყოველდღე დუშმანთან სიფრთხილე,
სად რა დროს გიმუხთლებს, ვინ იცის,
ბიჭებო, დაბრუნდით მშვიდობით,
უკლებლივ ჩამოდით, ღიმილით.
გაშორებთ კვლავ შორი გზები და
ლეპტოპის ეკრანი ციმციმებს,
ახლობლის სახეს, რომ შეხედავ,თვალს ვერ სწყვეტ,
თითქოსდა პირველად იხილე.
მერე კი, კვლავ მწყობრში ჩადგები,
იარაღს აისხამ გულმკერდზე,
მიდიხარ, დაზვერვის საქმეზე,
და ღმერთი გმფარველობს, ამ ჯერზეც.
დუშმანი იქ ყველგან დაძვრება,
ნაბიჯებს სილაშიც დაგითვლის,

გაგრძელება მე-11 გვ.

მეათე გვერდიდან

# „კვეტარის ასული“ - ხათუნა თედიაშვილი

ნასროლი ის ცხელი, ბრმა ტყვია,
ყურთან კი უეცრად გაგივლის.
და მერე პირჯვარს, რომ გადიწერ,
შეხედავ, დუშმანი წაგექცა,
შენს გვერდზე მეგობრის იარაღს,
ტყვიები წივილით გაექცა.
დე, მუდამ გფარავდეთ უფალი,
ტაძარში შესული, მე ლოცვას აღვავლენ,
სამშობლოს არწივნო, ლეკვებო ალგეთის,
მშვიდობით იარეთ, პირჯვარსაც გადაგწერთ...

## თამარ!

**თამარ!** სულ გახსოვდეს ჩემი იყავ,
თუმცა, ვერასოდეს შემოგბედე.
სულით მიყვარდი და თავადის ქალს,
ჯიქურ ერთხელაც ვერ შემოგხედე.
მე ხომ შენს კარებზე ვიზრდებოდი,
ვიყავ მწერალიც და თარჯიმანიც,
თამარ !არასოდეს გამიბედავს,
ახლაც, ამ ფიქრებში გამიმრავლდი.
ბევრჯერ შენზე დარდით ოცნებებმა,
ისე უნებურად გამიტაცა,
ვწერდი ბარათებს და სიყმაწვილემ,
შენი სიყვარულით ამიტაცა.
თამარ! მეგონა, რომ არ მოგწონდი,
ბევრჯერ, უგზო-უკვლოდ დავიკარგე.
მაგრამ, დაბრუნებულს გაჯავრებით.
როცა მჭირდებოდი - დამეკარგე.
მერე, დაწყევლილი ელჩობა და
შენთვის უცხოელთა დედოფლობა.
ნეტავ, მე ცოცხალი რაღათ დავრჩი,
სახეს შენც ტკივილი გეტყობოდა.
თამარ! ის შეხვედრა სხვა რა იყო,
ალბათ, ამ გულების შეერთება.
მაგრამ, მე საბრალომ, ვერ შევძელი,
შენთან დრო და წამის შეჩერება.
რადგან, შენ წახვედი თუმც ამაყი,
მაგრამ ტკივილებით ავსებული
და მეც მიმაბრძანე საქართველოს,
ჩუმი წერილებით გავსებული.
თამარ! შენ იმ დილას წმინდანს ჰგავდი,
ქვეყნის დასაფარად მოვლენილი,
იყო ტკივილი და მწუხარებაც,
გზები შენი ცრემლით მოფენილი...
თამარ! სამშობლოში დამეწია.
ხმები, ოჰ, ირანის შაჰი მოჰკლეს
და უბედო, წამსვე მივხვდი,
რომ ცხოვრება, მაშინათვე დაგიმოკლეს.
თუმცა, კი მანამდე შეიძელი,
კაფე ორგულები ამ ქვეყნისა,
თამარ! ცხოვრებაა დაგეძებ და
ვაჰმე! შენი ნახვა არ მეღირსა.

***

**რამ** დაგაჩლუნგა გორგასლის ხმალო,
ერეკლეს ხმალო, მტყდარო ვადაში.
შემოსევია დღეს მუმლი მუხას...
ო... ღმერთო ჩემო, ნუთუ სადამდის
რამ დაგამუნჯათ, ძმებო ლომებო,
თუ თქვენ დედასაც, ჯერ ისევ ძინავს.
ყაყაჩოებით ნაფერი მიწა,
დღეს ქართლის ველზე დაჭრილი გმინავს.
ახლაც ღვარვარებს ცრემლებად წვიმა
და ნიაღვრები ავსებენ ქალაქს.
ჩამოუპარსავს წვერი სახოკე,
მთაწმინდისათვის ხელმარცხა დალაქს.
იქნებ, ავლესოთ ძმებო კვლავ ხმალი,
ფიცვერცხლით ვჭედოთ გორდა ქართული...
წინ გაგიძღვებით, ვით ქართლის დედა,
ქართული დროშით ხელაღმართული.

***

**ჩქარა** ჩამეხუტე, მკერდზე მიმიკარი,
თორემ, მე იქნება ხვალე აღარც ვიყო,
სული გამითბე და სცადე დავივიწყო,
დღემდე ტკივილები, ჩემში რაც კი იყო.
ნახე დრო არ იცდის, უკვე დათვლილია,
წლებმა უიმედომ, როგორ ჩაიარა,
სულზე დამამჩნია სევდის ნაკვალევი,
თუმცა, ვეცადე და არ კი გაიარა.
მკერდში ჩამიხუტე, ისე ძალუმად, რომ
ყველა ტკივილი და სევდა გადამყარო,
თორემ, კალენდარიც უკვე აჩქარდა და
ისიც შეეცდება, სადღაც გადამკარგოს.

***

**წუხელ** ხევ-ხუვებს ამავყევ,
უკან მამდევდა ქარიო.
მკლავდა ჯავრი და ქალშავას
კაბაც მემოსა შავიო.
ლეგა ღრუბელი საავდრო,
თვალებს ცრემლებით ივსებდა
და შენს დანატრულს ავაჰმე,
სულს ტკივილებით მივსებდა.
ატყდა ქუხილი ცაზე და
ის ხევი სულმთლად შავიო,
თითქოს ქუხილზე შეკრთა და
ამოიკივლა - ვაიო.
მერე, წვიმებად ჩამომსკდარს,
ზეცასთან შეჰქმნა ზარიო
და მათ შამყურე ქალშავას
ვაჰმე, მეღირსოს დარიო...

***

**ვარსკვლავები** მოწყენილნი,
მთვარეც ციდან ჩამოდის,
სულო ასე რადა ღელავ,
გულო ან შენ, რა მოგდის.
დაივიწყო იქნებ დარდი
და ტკივილიც ჩაგიქრეს,
დროა, თორემ მწუხარების
ცრემლი, თვალებს დაგიშრეტს.
როგორ მითხარ არ ვიდარდო,
როცა მიწა წაგვართვეს,
კუთხე-კუნჭულ სანატრელი,
საგულედან აგვართვეს.
როცა ტირის აფხაზეთი,
მეც ცრემლები ჩამომდის,
სამაჩაბლოც ცრემლსა ღვრის და
კიდევ მკითხავ, - რა მოგდის?
მითხარ, როგორ არ ვიღელვო,
ჩემი ქვეყნის დარდია,
როცა უცხო მკვიდრდება და
ქართველები გარბიან.
მისდგომიან სამშობლოს და
ნაწილ-ნაწილ ჰყიდიან,
უიმედოდ რჩენილნი
ემიგრანტად მიდიან.
წამოდექით, ქართველთ უჭირთ,
გმირებს უხმობს თამარი,
თუნდ, მახვილით დავიბრუნოთ,
მტერს გულს ჩავცეთ ლახვარი.
დავით, გთხოვთ შენც წამოდექი,
დრო მეტს აღარ მოიცდის,
შენ თუ წინ არ წარუძეხი,



არ გამოვა ხომ იცი...
რადგან, ისე დაძაბუნდნენ,
კაცი-კაცად არ ვარგა,
წინამძღოლად გეძახიან,
ვინც ვაჟკაცად გადარჩა.
საქართველო გავამთელოთ,
ვით ის "ოქროს საწმისი",
როგორც უწინ, შავი ზღვიდან,
იყოს ქვეყნის საწყისი.
დღეს ამინდიც მოწყენილა,
ზეცას ცრემლი ჩამოსდის,
სულმაც ღელვას მოუხშირა,
გულო, ნეტავ, რა მოგდის...

**ირმა მეგონია**

რა ხდება 140-ე საჯარო სკოლაში?

# ახალი გამოწვევებისთვის მზად არიან



**მიმდინარე** სასწავლო წელი დახუნძლულია ახალი გამოწვევებით. მიუხედავად დაძაბული დღის რეჟიმისა, როცა სკოლის დირექტორს **ნინო ასანიძეს**, მის მოადგილეებს: **ლალი კაპანაძეს, მარინე ჯაშს,** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს **ირმა გაბედავას**, სხვა მუშაკებს მოცლა არ ჰქონდათ, მაინც მოვახერხეთ ინტერვიუს აღება. მოკლედ მოგითხრობთ იმაზე, თუ რა გაკეთდა და რის გაკეთებას აპირებენ.

ახალი სასწავლო წელი მომზადებულებმა დაიწყეს, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. მიიღეს ახალი კადრები: **ნათია ლევანიშვილი** (დაწყებითებში), **გვანცა ჩიხრაძე** (ხელოვნება), **სალომე გაბრიჭიძე** (მუსიკა), **რუსუდან ქავთარაშვილი** (რუსული), **რომან სომხიაშვილი** (სპორტი).

სტატუს ამაღლებულები არიან: **ნანა მედულაშვილი** და **მარინა მამულაშვილი** (მენტორი); **ნათია ბეჭვაია** და **ნინო უზუნაშვილი** (წამყვანი).

პედკოლექტივის უმრავლესობა უფროსი მასწავლებელია.

საგნობრივ კათედრებს უნარიანად უძღვებიან: ქართული ენა და ლიტერატურა — **ელენე კალანდაძე**, მათემატიკა — **ქეთევან ონიანი**, დაწყებითების — **მაია ლომაძე.**

მე—10 კლასის მოსწავლეები **ანა ებიტაშვილი, ქეთი ლომსაძე, ზაურ მელაძე** და **თამთა ვაშაკიძე** სანიმუშო სწავლისთვის დაჯილდოვდნენ კომპიუტერებით.

გამოცდილი ხელმძღვანელები ჰყავთ სხვა კათედრებსაც: საბუნებისმეტყველოს — **მარინა მამულაშვილი,** სპორტისა და ესთეტიკისა — **ნატო ლოლუა,** უცხო ენებისას — **ხათუნა ოდიშელიძე,** საზოგადოებრივს — **ლელა ხარიბეგაშვილი.**

გაიხსნა სამი პირველი კლასი. დამატებით მიიღეს **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.**

გასულ სასწავლო წელს ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები გახდნენ: **ანა ბიბილეიშვილი, მარიამ გურგენიძე, ლიდია გაბედავა, ელენე ჩოგოვაძე, ნატალი ნადარეიშვილი, გვანცა ლაბაური, ნიკა ბოჭორიშვილი, ერეკლე ჩუბინიძე.**

**„ტვინების შეჯიბრებაში“** გამარჯვებულია მეექვსე კლასელი **ნიკა არუდაშვილი** (პედაგოგი — **ნათია შიუკაშვილი**).

კარგად მუშაობს საგნობრივი წრეები: ქართული ენა და ლიტერატურისა - **ნელი ენუქიძე**, ინგლისურისა - **ხათუნა ოდიშელიძე**, სპორტისა - **ნატო ლოლუა**.

მაღალ შეფასებას იმსახურებს ბიბლიოთეკარ **ხათუნა ალაზნისპირელის** საქმიანობა. მანდატურები **ნინო გოგოლაძე** და **სალომე მანდარია** ზრუნავენ წესრიგისა და სკოლის უსაფრთხოებისათვის.





10 ოქტომბერს ჩატარდა ღონისძიება: **„მასწავლებელი - შუქი სკოლისა“,** რომელიც ეძღვნებოდა ღვაწლმოსილ პედაგოგებს. გულთბილად გააცილეს პედაგოგიური ასპარეზიდან: **ცია ბორცვაძე, ლალი რუხაძე, ნუნუ სირაძე, თინათინ ყურაშიძე - ოქრუაშვილი** და **ლედი ჩიტაძე.**

ამ მცირე ჩამონათვალიდანაც მიხვდება მკითხველი, რა აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს 140-ე საჯარო სკოლა.

განსაკუთრებული ინტერესით შეისწავლეს, გაითავისეს სკოლის დირექციამ, მასწავლებლებმა, ყველა მუშაკმა სამინისტროს ახალი ინიციატივები.

არის შემოქმედებითი აქტიურობა, საქმის სიყვარული და წარმატებები უთუოდ იქნება.

**ბორის ევგენიძე**

შარშან ვიყავი ამ ბაღში - წელს უფრო უკეთესია

# აქ ყველაფერი საუკეთესო ცეროდენებისთვისაა




**სასიამოვნო** გარემო და ლამაზი ხედები ამშვენებს 114-ე ბაგა-ბაღს, რომელიც წყნეთში მდებარეობს და უბნის მაცხოვრებლებისთვის ერთ-ერთი სანიმუშო ადგილია. ბაღის ეზო მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია საბავშვო ატრაქციონები და სათამაშოები, შენობა გარემონტებულია და ესთეტურად მორთულ-მოკაზმული. ბაღს სათავეში უდგას ენერგიული და საქმეზე ორიენტირებული ხელმძღვანელი **ნინო მამამთავრიშვილი.** იგი პროფესიით არქიტექტორია, მაგრამ ბავშვების სიყვარულმა გადასძლია და 14 წელიწადი მუშაობდა წყნეთის ბავშვთა სახლში, შემდეგ კი აღნიშნულ ბაღში გადმოინაცვლა. მისი მოსვლის დღიდან, 114-ე ბაგა-ბაღი საგრძნობლად გალამაზდა. რაშიც მას მხარში დაუდგა ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი **კახაბერ გვანცელაძე**, ვაკის რაიონის გამგებელი **ნოდარ ტურძელაძე** და წყნეთის საუბნო განყოფილების უფროსი **ზურაბ შაყულაშვილი.**

**ნინო მამამთავრიშვილი**: ბაღის მთელი კოლექტივის სახელით მადლობას ვუცხადებთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სააგენტოს ხელმძღვანელს **კახაბერ გვანცელაძეს** გულისხმისრი დამოკიდებულებისა და ყურადღებისთვის. სწორედ მათი დახმარებით მოვაწესრიგეთ ეზო, დამონტაჟდა ახალი ატრაქცონები და კაუჩუკის მოედნები, მოწესრიგდა უსაფრთხოების სისტემები, სველი წერტილები, შენობის სახურავი შეიცვალა და გადაიხურა თუნუქის მასალით., ქვედა სართული კაპიტალურად გარემონტდა, ასევე, შეკეთდა დარბაზი , საბავშვო ოთახები, სამზარეულო აღიჭურვა თანამედროვე, საჭირო ინვენტარით და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია **კახაბერ გვანცელაძის** ღვაწლი საბავშვო ბაგა-ბაღების აღორძინების საქმეში, მისის ინოვაციური მიდგომები და პროექტები დადებითად აისახა თითოეულ საბავშვო ბაღზე.

114-ე საბავშვო ბაღში სულ 6 ჯგუფი და 192 აღსაზრდელია. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა, სადაც 69 აღსაზრდელი ეუფლება სასკოლო უნარ-ჩვევებს.

ბაღში მუშაობენ მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც ერთ გუნდად არის შეკრული და თავდაუზოგავად იღწვიან იმისთვის, რომ პატარებს სასიამოვნო გარემო შეუქმნან.



დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს მისი მოადგილის **მანანა ოძელაშვილის,** სამეურნო ნაწილის კოორდინატორის **ქეთევან წიკლაურის,** მეთოდისტის **ია მამამთავრიშვილის**, საქმის მწარმოებლის **ქეთევან მათიაშვილის**, ფსიქოლოგის **გვანცა საყურაშვილის** და ლოგოპედის **მარინა თათულაშვილის საქმიანობა.**

შემოქმედებითი ღონისძიებები და სეზონური ზეიმები სისტემატურად იმართება. პატარებს ხელოვნებას აზიარებენ მუსიკის პედაგოგი **დალი შურღულაია** და ცეკვის პედაგოგი **ელენე მაისურაძე.**



პატარებს მუდამ ემახსოვრებათ გამოსაშვები ზეიმი, რომელიც ორიგინალურად ჩატარდა და ტყეში მოეწყო. ასევე, ბაგის ჯგუფში გაიმართა მინისპექტაკლი **„რწყილი და ჭიანჭველა''**. 3-4 წლიანებში კი, აღსაზრდელებმა მუსიკის ფონზე, ზეწარზე ხელის საღებავებით შექმნეს მშვენიერი ნახატები. ამ პროცესში მშობლებმაც მიიღეს მონაწილეობა, რაც ძალიან სახალისო იყო პატარებისთვის. საინტერესო იყო ასევე, გამოსაშვები ჯგუფის პატრიოტულ



თემატიკაზე მომზადებული საზეიმო ღონისძიება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით აღმზრდელებს **ხატია მელაძეს** და **ჯუნა ოძელაშვილს**. გაგაცნობთ ბაღის მაღალკვალიფიციურ აღ-



მზრდელ-პედაგოიებს, ესენია: **ნანული გალუაშვილი, ეკატერინე ციცაგი, ნათია კახობერაშვილი, დალი წიკლაური, ეკა ოძელაშვილი, ვერიკო მაჩხანელი, ნინო ზურაბიშვილი, ნანა ჯაყაშვილი, ჯუნა ოძელაშვილი, ხატია გულაძე და თამარ ჩიტაური.** მათ მხარში აქტიურად უდგანან თანაშემწეები: **იზა ხიდეშელი, მერი დელიბაშვილი, მაიკო ოძელაშვილი, მაია ჩოხელი, რუსუდან მათიაშვილი** და **ნათია ალექსაია.**

დიდ შექებას იმსახურებს ბაღის ტექპერსონლი. ესენია: **მაია გამცემლიძე, ციური ხაბარელი, მარინე შალიკაშვილი, მარინე შახულოვი, მზია ქობულაშვილი, მარინე ბერუაშვილი, თინათინ კელუნჯერიძე, ლილი შახულაშვილი, თამარ მატიაშვილი, გარეგინ მათიაშვილი** და **გიორგი მამუკაშვილი.**

ცუგრუმელების ჯანმრთელობა საიმედო ხელშია, რადგან მათზე ზრუნავს ჰიგიენისა და ჯანმრთელობის კოორდინატორი **ნონა შაყულაშვილი.**

კვება არის დაბალანსებული. პატარები სასადილოში ორგანიზებულად მიჰყავთ აღმზრდელებს. ბავშვებს გემრიელ საკვებს უმზადებენ მზარეული **ელენე ხახუტაშვილი** და მისი დამხმარეები **ციური წიკლაური** და **ირმა გოგოტიშვილი.**

ბაღის დირექტორი და თითოეული თანამშრომელი თავდაუზოგავად იღწვის იმისთვის, რომ აღსაზრდელებს ზღაპრული სამყარო შეუქმნან და აქ გატარებული წლები სამუდამოდ დაამახსოვრდეთ.

**მზია გოგოძე**

ისევ თქვენს გასახარად, ცეროდენებო!

# მოგესალმებით ლამაზ-ლამაზ ლექსებით



**გეგონათ** დაავიწყდით? დიდი სამთვიანი არდადეგები გქონდათ, ბავშვებო და თქვენმა საყვარელმა პოეტმა **ნაირა ნიჟარაძემ** ხმა ვერ მოგაწვდინათ, თორემ სულ თქვენზე ფიქრობდა, შორიდან გეალერსებოდათ.

და აი, თქვენზე ფიქრის ნაყოფია ეს ლექსები, საიდანაც ბევრ რამეს ისწავლით, გაითავისებთ, თვალსაწიერს გაიფართოებთ, დედაენის, დედაქალაქის, მამულის სიყვარულით უფრო დაიმუხტებით. გთხოვთ, გულისყურით წაიკითხოთ.

**ნაირა ნიჟარაძე**

## დედათბილისი

**გინახავთ** დედათბილისი?
მთები – ზურმუხტის გუნდები,
აივნიანი ქალაქი –
გულმკერდში ჩასახუტები.

მისი მზე, მისი ცისნამი,
მწვანე მთები და კორდები,
სულ გულით შეგიყვარებდა,
ვერასდროს ვერ მოშორდები!

## ყვავილები

**თეთრყირმიზა** ყვავილებით
ავსებულა მთა-ბარი,
ათასფერად დაუწინწკლავთ
ლურჯ-წითელი კაბანი.
ყაყაჩოებს უთხრა ნინომ:
თქვენთვის არა მცალია,
თქვენზე კარგი ყვითელგულა
გვირილები არიან.
– არ მოგვწყვიტო, გენაცვალე,
– აჩურჩულდნენ ყანაში, –
არემარეს ვალამაზებთ,
ცუდი რაა ამაში?!
– იკაშკაშეთ, ყვავილებო,
ატლასოვან კაბაში,
გაიფურჩქნეთ, იხალისეთ
საქართველოს მთა-ბარში.

## პატარა მხედარი

**ირგვლივ** მთებია შემოსალტული,
სულ მწვანედ მოჩანს შემოგარენი,
არსად კაცები, არსად ქალები,
ამ მიდამოში კოხტად მარები.

მაგრამ აქ დაჰქრის ერთი მხედარი,
ჯერ პატარაა, მაგრამ გულადი.
იგი გახდება ცხრა შვილის მამა
და გამრავლდება ერი პურადი.

## დაუნგრევიათ

**სულ** აუღიათ მავთულხლართები,
დაუფლეთიათ ბნელი ფარდები,
მე მიყვარს ჩემი მიწა და მთები,
მტერო, რა გინდა, რას
მემართლები?!

## გუნდაობა ვისაც უნდა

**ახლოვდება** ზამთარი,
გათეთრდება მთაბარი,
გუნდაობის დრო მოვა,
აგვიხდება ზღაპარი.

## ნინო და თოჯინა

**ნინო** მიუჯდა კუთხეს მორჩილად
და ეუბნება ცქნაფა თოჯინას:

– შენ უნდა გქონდეს
გამრჯე ხელები,
მორთო სიმინდით
მწვანე ველები.

უნდა სწავლობდე,
გიყვარდეს წიგნი,
ვინც წიგნს კითხულობს
მან ბევრი იცის.

სიმართლე უნდა გიყვარდეს წმინდა,
აი, ასეთი შვილიკო მინდა!

## ბიჭუნა

**შემოგრიალდა** ცხენით ბიჭუნა,
ის იყო ჩემი კარგი ძმობილი,
სულ ათი წლისა არც იქნებოდა,
წიგნი წაიღო მკერდსმიჭდობილი.

წიგნი ასწავლის სწრაფმსვლელ
ცხოვრებას,
როგორ გამრავლდეს, როგორ
ხარობდეს,
მერე ძმაკაცთან ლხინში, ქორწილში
მრავალჟამიერს როგორ გალობდეს!.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N13 (4588)
30 ოქტომბერი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113